645/4
386



645/4

# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

7
1986

გალერეავა. ანზორ გოგოლაძის ფოტო.



,,საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფერადი ბაირაღები

ნარკვევი

ხმაურიანია მდინარე მაშავერა, წყალუხვია, ცივი და საზრდოდ ჯავახეთის მთები მისთვის გულუხვად იმეტებენ თავიანთ ნაჟურს. ცივ წყალში უყვარს კალმახს ტკრციალი და ხტის, ანკესს თავს არიდებს, შეჯიბრება აქვს ქვიდან ქვაზე ხტომაში.

სოფელ განთიადთან მაშავერა თითქოს წყნარდება, ერთობ ერიდება ხალხისა. მრავალსახლობაა სოფელში, ხალხი საამქვეყნო შრომისაგან დასვენებას ღამით ირჩევს და მდინარეც ცოტა ხმადაბლა დუდუნებს.

მერე დილა შემოვა სოფელში ფეხაკრეფით, მზეს გამოექცევა და დაასწრებს დაკაკუნებას: „კარი გამიღეთ, მომაქვს კარგი დღე, მზე და წვიმა, მიწის გალაღება და თესლის ფაჩუნი, ხორბლის ამოწვერვა და რძიანი ბალახი! კარი გამიღეთ, მომაქვს ოჯახებისთვის სიმშვიდე, დიდებისთვის ჯანი მაგარი, პატარებისთვის უშფოთველი აკვნის რწევა და ღუღუნი!

ასე უნდა შემოდიოდეს ყოველი განთიადი სოფელში, რადგან აქ ყველა ოჯახში ბავშვია, რადგან აქ ყოველ წელიწადს ბევრი ახალი სიცოცხლე ჩნდება, რადგან აქ ათასზე მეტი ქალია და ყველა დედაა, რომელთა ხელით დარეცხილი წვრილშვილის სამოსი თითქმის ყველა ეზოში და ყველა სახლის წინ ყველას დასანახავად ჰკიდია, სხვადასხვა ზომისა და ფერისა. სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... ბავშვის სამოსები, როგორც ფერადი ბაირაღები, ისე ფრიალებს განთიადელთა კარ-მიდამოში.

და დედები, საქმეს რომ მორჩებიან, სამუშაოზე მიიჩქარიან. გააჩერეთ ყოველი შემხვედრი ქალი და ჰკითხეთ, რამდენი შვილი ჰყავს. სამზე ნაკლებს არავინ ჩამოგითვლით, შვიდამდე კი ბევრი დაარიგებს სახელებს. თითქმის ყველა მრავალშვილიანი დედა მუშაობს. ეს ნიშანდობლივია დმანისის რაიონის ამ ქართული სოფლისათვის. სამხრეთ საქართველოს მიწის მხვნელმთესველნი ემატებიან და სანამ დაიზრდებიან, დედამ შინ და გარეთ უნდა იშრომოს.

აქაური დედის შრომის ნაყოფი უფრო თვალსაჩინოა. ამას შვილთა სიმრავლის სიხარული უდევს საფუძვლად.

ამ ნათქვამს ისინი საქმით, შრომის ნაყოფით ადასტურებენ. რა უხარიათ ბოლოს და ბოლოს? სოფლის ყველა სიკეთე, რაც ადამიანს სჭირდება — ტელევიზორი, გაზი, სასმელი წყალი, კლუბი, ტელეფონი, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, საექიმო პუნქტი, მაღაზია, მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის წარმატება.

მეურნეობაში ქალს ვერ ნახავთ, საქმეს რომ თავს არიდებდეს, უფრო მეტად ისვენებდეს, ვიდრე შრომობდეს. ქალის შრომა ოქროდ ღირს განთიადში — უგემრიელესი, სალი, თითქოს საგანგებოდ დარჩეულია აქაური კარტოფილი. წლეულს მოსავლის აღებისას მეურნეობა კვლავ გეგმის გადაჭარბებას აპირებს.

იმ დღეს ეთერ დევნოზაშვილს კარტოფილის თოხნა მოთავებული ჰქონდა, როცა 16 დობილს, მისი რგოლის მეგობრებს დაემშვიდობა და შინისკენ გამოსწია. 31 წელია, რაც ეთერი განთიადის მიწას ჩაჰკირკიტებს. ადრე, 20 წელი კოლმეურნეობაში იშრომა. მეუღლეც მასთან ერთად შრომობს მეურნეობაში და კარგ მექანიზატორად ითვლება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო ეთერი, ახლა რაიონული საბჭოს დეპუტატობითაა დატვირთული, ქმარი, ოთხი შვილი და რაიონის მომავალზე ზრუნვა, რგოლის წევრებთან ერთად 12 ჰექტარ ფართობზე კარტოფილის გარდა სიმინდის, კომბოსტოს, სტაფილოს მოვლა-პატრონობა მისი ყოველი დღის განაწესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. თანაც ყველა ეს საქმე ეიოლება და ეცოტავება ეთერს. თურმე რამდენი შეუძლია ადამიანს, როცა მისთვის დილა სიხარულით იწყება!

სიხარულით ცხადდება სასოფლო საბჭოს ბუღალტერი გულნარა გოგუაც სამუშაოზე. გულნარა ახალგაზრდაა და უკვე ხუთი შვილის დედაა. სულ პატარა ერთი წლისა ჰყავს. ორმა ქალიშვილმა გულნარას სკოლიდან გამოუარა სამსახურში. რომ შევეკითხეთ, რომელი მასწავლებელი უყვართ ყველაზე მეტად, გაჩუმდნენ, იფიქრეს სხვებს არ ეწყინოთო და მერე მაინც ერთად წამოიძახეს: — მაყვალა ჩაჩანიძე, მათემატიკის მასწავლებელიო.

მაყვალა სკოლიდან გამოდიოდა და ცოტა ხნით შევაჩერეთ. სიამოვნებით გაგვესაუბრა: მე-4, მე-5 კლასებში მათემატიკას ასწავლის, მე-6, მე-7 კლასებში ფიზიკას, მე-10 კლასს — ასტრონომიას.

მაყვალა გომარეთელია, დმანისის რაიონის მაღალმთიანი სოფლიდან. ამ უძველეს სოფელს ათასი წელი უსრულდებოდა და იმ დღეებში იხდიდნენ დღეობას. მაყვალამ გომარეთის სკოლა მედალზე დაამთავრა. მათემატიკა იქაურმა მასწავლებელმა არჩილ ბაინდურაშვილმა შეაყვარა. მერე გორის პედინსტიტუტში მიიღო უმაღლესი განათლება და მშობლიურ დმანისს დაუბრუნდა, განთიადის ქართულ საშუალო სკოლაში სიამოვნებით დაიწყო მასწავლებლობა. ორ-



საქ. სსრ კ. მარქსის



ი. ოქრაძე ესაუბრება სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანს რ. თაბაგარს.



ლ. გოგუა შვილებთან



ე. დევნოზაშვილი

წლიანები საერთოდ არა ჰყავს, საგანი ერთნაირად მიმზიდველი გახადა ყველასათვის. ალბათ საკუთარი მეთოდის წყალობით მაყვალა მასწავლებელი ამოცანებს და მაგალითებს სირთულისა და შესაძლებლობის მიხედვით აძლევს მოსწავლეებს, ძლიერებს — უფრო რთულს, საშუალო ნიჭის მოსწავლეებს უფრო ადვილს. ამიტომ ამოცანებს ყველა ხსნის, მოსწრება ყველას კარგი აქვს. მასწავლებლის მეტ სიახლეებს ბავშვებთან ისიც უწყობს ხელს, რომ მაყვალა სკოლის ორგანიზატორია და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას წარმართავს. მთელი რაიონის ყურადღება მიიპყრო მეშვიდე გაკვეთილმა თემაზე „მე და ხუთწლედი", რომლის ჩატარებაშიც თითქმის ყველა უფროსკლასელი მონაწილეობდა.

რომ შევეკითხეთ, რამდენი შვილი გყავსო, — „სამიო", ისე თქვა მაყვალამ, თითქოს ეცოტავებოდა.

იზოლდა ოქრაძეც სამი შვილის დედაა და ამავე სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი აქვს დამთავრებული, მის გაკვეთილებზე ცოდნასთან ერთად სიამოვნებას იღებენ ბავშვები. არ იფარგლებიან მხოლოდ სახელმძღვანელოთი, თავისუფლად იშველიებენ კლასგარეშე ლიტერატურას.

ბიბლიოთეკა კი მართლა კარგი აქვთ განთიადელებს. უმაღლესი განათლება მიიღო და 27 წელია ბიბლიოთეკარის მოვალეობას სიყვარულით ასრულებს მარიამ ოქრაძე. 8500 წიგნი სოფლის ბიბლიოთეკაში ყველას საკუთრებაა.

ფოსტის გამგეს ვენერა ოქროაშვილს ექვსი შვილი ჰყავს, ოჯახის საქმეს კეთილმოწყობილი სოფლის წყალობით აწესრიგებს, საბავშვო ბაღი თავის ხელს უწვდის, სკოლა თავისას აკეთებს, გაზი, წყალი, ელექტრონი, ტელევიზორი, ტელეფონი მისი მუდმივი მეგობრებია.

განთიადში ქალთა შრომითი დასაქმება მაღალ პროცენტამდე აღწევს. თითქმის ვერ ნახავთ ქალს, რომ საზოგადოების სასარგებლოდ არ იღვწოდეს. და რადგან შრომობენ, საშუალოდ კი არ აკეთებენ საქმეს, უმაღლესი ხარისხის ნიშანს იმსახურებენ.

...საქმე კი იმით იწყება, რომ ეზოებში ყოველ დილით გამოეფინება ბავშვების დაკრიალებული ტანსაცმელი.

ყველაზე მეტად ამით დამამახსოვრდა განთიადი!

და ისიც მახსოვს, რომელ ეზოში, რამდენი ბავშვი დარბის, ტირის, იცინის.

26 წლის თინა კავლელაშვილს მალე მეექვსე ბავშვი შეეძინება. ვენერა ოქროაშვილს ექვსი შვილი ჰყავს, ნუნუ დაუთაშვილი ხუთი შვილის დედაა.

სოფიო კავლელაშვილის ოდაში ექვსი შვილი ხარობს.

ვენერა ფეტვიაშვილი ხუთ ბავშვს სადილად მოუხმობს...

რა მიხარია ხალხმრავლობა განთიადში!

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გარეგნობას ტანისამოსი ალამაზებს



ყველა დედას უნდა, რომ თავისი შვილი ლამაზად, გემოვნებით, მოდურად იყოს ჩაცმული. აქ ლაპარაკია არა ძვირფას, ქორვაჭრებისაგან ორმაგ და სამმაგ ფასად შეძენილ საზღვარგარეთულ ტანსაცმელზე, არამედ სამამულო ნაწარმზე, რომელიც ჩვენი მაღაზიის დახლებზე აწყვია. მაგრამ ყოველთვის შოულობს მშობელი შვილისათვის მას, რაც მოსწონს? აკმაყოფილებს კი სამამულო ნაწარმი ჩვენი მომხმარებლის დღევანდელ მოთხოვნებს?

ამის გასარკვევად ვეწვიეთ თბილისის ბავშვთა ტრიკოტაჟის ფაბრიკას. ალბათ ყველა დედა დაგვეთანხმება, რომ იყო დრო, როდესაც თბილისის ბავშვთა ტრიკოტაჟის ფაბრიკის დამზადებული ბავშვის ტანსაცმელი პირველი გარეცხვისთანავე ჰკარგავდა ფერს, ფორმას და სულ მოკლე ხანში სრულიად გამოუსადეგარი ხდებოდა. ახლა კი რეცხვის დროს ფერისა და ბუნებრივი ფორმის დაკარგვის პრობლემა თითქმის აღარ არის, თუ, რა თქმა უნდა, შენახვისა და **მოვლის წესებს დავიცავთ. ამრიგად, სა**ბავშვო ტრიკოტაჟის ხარისხი რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ ხარისხის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის მთლად გადაჭრილი.

ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორთან, ქალბატონ ეკატერინე მაცინევიჩ-ტაბატაძესთან (ცამეტი წელია ის ამ ფაბრიკას ხელმძღვანელობს) საუბარში განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ერთი გარემოება — იმ სამოცდათექვსმეტი მოდელიდან, რომლებსაც ფაბრიკა საერთოდ უშვებს, ორმოცდარვა სრულიად ახალია. გადახალისდა და შეიცვალა ტექნიკური აღჭურვილობა, გარკვეული რაოდენობის ნედლეული საზღვარგარეთიდან შემოდის, ზოგი რამ იმავე საზღვარგარეთული მარკის, მრგვალ-საქსოვ, ოვალურ-კარუსელურ და ბრტყელ-ფანგურ მანქანებზე იქსოვება. წლეულს შრომის ნაყოფიერება 3,9 პროცენტით გადიდდა; მუშები ბრიგადული მეთოდით მუშაობენ და თუ წინათ ცვლაში 4-5 დასახელების მოდელს უშვებდნენ, დღეს ოცდაათი დასახელებისას ამზადებენ.

საწარმოში აგრეგატულ-ბრიგადული ნაკადის დანერგვამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. მზა პროდუქციას გაცილებით ოპერატიულად, დროულად იღებენ სავაჭრო ორგანიზაციები. თუ წინათ შესრულებულ სამუშაოზე ხარისხის ნომრის დასმა მუშის სინდისზე იყო მინდობილი, ახლა თითოეულ ჯგუფსა და ბრიგადას თავისი ნომერი აქვს, რის შედეგადაც ხარვეზის ან უხარისხობის შემთხვევაში პიროვნებას კი აღარ მოჰკითხავენ კონტროლიორები, არამედ იმ ბრიგადას, რომელსაც ეს შეცდომა მოუვიდა, წუნისათვის ბრიგადის ყველა წევრი ერთნაირად აგებს პასუხს. ასევე ხდება პრემიული ანაზღაურებაც — ბრიგადის გამოშვებული საუკეთესო პროდუქციისათვის ყველა ერთნაირად ჯილდოვდება.

ამ მეტად პროგრესული მეთოდით 1986 წლის 1 მაისიდან ფაბრიკის მხოლოდ ორი საამქრო — საქსოვი და სამკერვალო საამქროები მუშაობს.

ფაბრიკაში დაწინაურდა ციალა ჯანიაშვილის ბრიგადა, რომელიც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით უშვებს პროდუქციას. მუშებს: ჟუჟუნა კელაპტრიშვილსა და ეგინე აკოფიანს, რომლებიც ერთდროულად ექვს და ზოგჯერ მეტ ოპერაციასაც ასრულებენ, წუნს თითქმის ვერ უნახავთ. გაუმჯობესდა ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები: დადგეს კონდიციონერები, ფილტრები, დღის სინათლეები, მცირე მექანიზაციით აღიჭურვა საამქროები, შემოღებულია დიეტური და უფასო კვება. ყველა ამ სიკეთემ საგრძნობლად განამტკიცა შრომის დისციპლინა.

ყოველივე ეს კი გვაფიქრებინებს, რომ დღევანდელ მომხმარებელს ფაბრიკისადმი სასაყვედურო აღარ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ასეა?

მრავალფეროვანი ასორტიმენტის: — ჟაკეტების, კაბების, კოსტუმების, შარვლების, შორტების, სპორტული კომპლექტის, სვიტრების და სხვათა შექმნაში მონაწილეობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი მხატვარ-მოდელიორი, რომელთა განკარგულებაშია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამხატვრო ლაბორატორია (ლაბორატორიის უფროსი ვარია ფარაჯანოვა). მაგრამ სამწუხარო სწორედ ის არის, რომ სასურველი ქსოვილის ნაკლებობის გამო ყოველთვის როდია დაცული ზომების სკალა. ზოგჯერ შედარებით ღია ფერები დიდებისათვის განკუთვნილ ტანსაცმელში გაერევა ხოლმე (44-52 ზომა), პატარების ტანსაცმელში კი მუქი ფერები სჭარბობს (24-40 ზომა).

ფაბრიკას საკმაოდ კარგი ეკონომიკური მაჩვენებლები აქვს და დიდი შრომაა გაწეული ხარისხობრივი მაჩვენებლისა და თითოეულ შრომით ჯგუფში ყოველი მუშის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის ზრდისათვის, მაგრამ სამხატვრო-სამოდელიერო განყოფილებაში შესულებს მაინც უკმარისობის გრძნობა დაგვეუფლა. ალბათ ასეთივე განწყობით მიაქვთ შინ დედებს, მამებს, პაპებსა და ბებიებს თავიანთი პატარებისათვის ახლად შეძენილი ტანსაცმელი ჩვენი მაღაზიებიდან.

ფორმა, სტილი, ფერი, ნაქსოვი თითქოს აკმაყოფილებს ჩვენს გაზრდილ მოთხოვნილებებს. მაგრამ როგორ არის შეკერილი, როგორ ყუთში და რანაირად დევს, როგორ არის გაფორმებული, როგორ და რა სახის ქაღალდზეა ფასისა და მოვლა-შენახვის წესების ეტიკეტი მიმაგრებული — იმდენად მოქმედებს მოწონების ფაქტორზე, რომ ძნელია სიხარულით, სიამოვნებით გადაიხადო ღირებულებისათვის საჭირო თუნდაც სულ უმნიშვნელო თანხა. ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ ხარისხიანი ასორტიმენტი, რომელიც ფაბრიკის საგამოფენო დარბაზშია, სრულებით არ იყიდება მასობრივად. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი ხარისხის ნაწარმის დამზადება მხოლოდ მრგვალ-ფანგურ მანქანებზე შეიძლება, რომლებიც გაცილებით ნაკლებბრუნვადი კონსტრუქციისაა, ვიდრე სამამულო ნაწარმის მანქანები, მერე კი ეს კარგად მოქსოვილი ნაწარმი უფრო მეტი გულისყურით იკერება და საბოლოოდ ხარისხიანი პროდუქცია გამოდის, თუმც კი, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მოთხოვნილებაა.

ცალკე შეიძლება ვიმსჯელოთ შეფუთვაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მზა პროდუქციის პეწისა და ლაზათის შენარჩუნებას. მაგრამ რა ლაზათი შეიძლება შერჩეს ბავშვის ტანსაცმელს იმ მუყაოს ყუთში, სადაც ერთდროულად ათი ცალი აწყვია. სამწუხაროდ, მიღებულია ახალი დებულება, რომელიც იმავე ზომის ყუთში 20 ცალი ტანსაცმლის ჩადებას ითვალისწინებს. შედეგად კი იმას მივიღებთ, რომ დიდი შრომა ხარისხობრივი მაჩვენებლის გასაზრდელად რომ დაიხარჯა, წყალში ჩაიყრება.

ამ საქმეს მოგვარება სჭირდება. თუ მას სწორად არ გადავჭრით, ვერ ვუპასუხებთ მე-12 ხუთწლედის ამოცანებს, რომლებშიც წინა პლანზე ხარისხის პრობლემაა წამოწეული.

მზია ჭიჭიაშვილი



წინა პლანზე ე. აკოფიანი



ქ. კელაპტრიშვილი



საამქროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკოფი რატიანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

# ილია ჭავჭავაძე და ნინო ბაგრატიონი



რუსთაველის შემდეგ არავის ისეთ დიდ სიმაღლეზე არ აუყვანია ქართველი ქალის საზოგადოებრივი როლი და დანიშნულება, მისი ღირსება და უფლება-მოვალეობანი, როგორც ეს „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორმა გააკეთა; დიდმა ილიამ ხოტბა შეასხა ქალს არა მარტო როგორც დედას, დას და ცოლს, არამედ, როგორც მხნესა და გამრჯე მშრომელს, რომელიც ყოველ საზოგადო საქმეში გვერდით ედგა თავის მამას, ქმარს, ძმას, დაუღალავად შრომობდა და იბრძოდა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ილია ჭავჭავაძე ითვალისწინებდა და ეყრდნობოდა, ერთის მხრივ, ძველი საქართველოს ცხოვრების გამოცდილებას, როცა ქართველ ქალს დიდი საზოგადოებრივი და ზნეობრივი მოვალეობის შესრულება უხდებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, მისი დროის რუსეთისა და ევროპის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მიღწევებს, მოითხოვდა, მამაკაცთან ქალის სრულ თანასწორუფლებიანობას არა მარტო იურიდიულად, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაშიც.

ილიას აზრით, სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ, რომ ქართველი ქალი კაცის დონემდე ამაღლდეს და აღიდგინოს ის დიდი სახელი, რომელიც მას ძველად ჰქონდა. ილიას სურდა გაეძლიერებია, აემაღლებია ქალის როლი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. მისი იდეალი იყო მშრომელი და გამრჯე ქალი, ქალი, რომელიც უშიშრად ებრძვის ყოველგვარ უსამართლობას, — ქალი, რომელიც შიშის ზარს სცემს უსაქმურ მუქთახორებს, უნამუსო ადამიანებს, სწორედ ისე, როგორც ამას მისი ოთარაანთ ქვრივი აკეთებდა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად აფასებდა ილია ჭავჭავაძე მშრომელ და გამრჯე ქართველი ქალების ღვაწლს, საკმარისია გავიხსენოთ მის მიერ 1886 წელს ქალბატონ ნინო ბაგრატიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი წერილი-ნეკროლოგის მოკლე შინაარსი.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძეს ქება არ უყვარდა, იშვიათად თუ შეაქებდა ვინმეს, მაგრამ ვისაც შეაქებდა, ის მართლა ღირსი იყო ქებისა და დაფასებისა.

ნინო ბაგრატიონი არ ყოფილა არც მწერალი, არც მეცნიერი და არც საზოგადო მოღვაწე, მაგრამ მისმა გარდაცვალებამ მაინც ღრმად დაამწუხრა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია, ხოლო დიდ ილიას ხელში კალამი ააღებინა, რათა ქალბატონი ნინოს ხსოვნა დიდების შარავანდედით შეემოსა.

კითხულობ მის წერილ-ნეკროლოგს და გაოცებული რჩები: რარიგ აღფრთოვანებული უნდა ყოფილიყო მწერალი ამ ქალის პიროვნებით, რომ მისთვის ამდენი ქებადიდება შეესხა.

მაინც რით მოხიბლა ნინომ ილია ჭავჭავაძე? რა ჰქონდა ამ ქალს ისეთი, რამაც მისი სახელი უკვდავჰყო?

ქალბატონი ნინო, — სამეგრელოს მთავრის დადიანის ასული და ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე, უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. მაგრამ ილია ჭავჭავაძეს ვერ გააკვირვებდა ვერც მისი სიმდიდრე და ვერც გვარიშვილობა, ილია მოუხიბლავს ამ ქალის მარტოოდენ შინაგან ადამიანურ ღირსებას, მის დიდბუნებოვნებას და მტკიცე ხასიათს. აი, როგორ მსჯელობს მის შესახებ ჩვენი სასიქადულო მწერალი:

„კნეინა ნინომ, რომელსაც დაბადებითვე ბედმა მიანიჭა დიდი გვარიშვილობა, დიდი ოჯახის მეუღლეობა, შეიძლება, დიდკაცობა და რომელსაც ამის გამო ყველაფერი ჰქონდა, რომ უქმს განცხრომაში გაეტარებინა თავისი სიცოცხლე, ყოველივე კეთილი ამა ქვეყნისა ეგემნა და დამტკბარიყო, როგორც ათასნი სტკბებიან, კნეინა ნინომ... დასთმო ყოველივე ესე, წავიდა სოფელში და დღე და ღამე ათენა, გაასწორა შრომითა და მხნეობითა. რამდენი ერიდება სოფელს, უფრო ხელმოკლე შეძლებითა, უფრო ღარიბი, და თავის გასამართლებლად ის მოჰყავს, რომ სოფელი უფერულია, კაცი ვერ გასძლებს, გასართობი არა არის-რაო. მან კი, თითქმის ყოვლისფერის მქონემ, რომ ქალაქის სიამოვნება ყოველივე ხელთ ეგდო, არ იკადრა, იუცხოვა უქმად ყოფნა, წავიდა სოფლად და შრომასა, მხნეობასა და გარჯაში იპოვა საგანი ცხოვრების და ამ საგანში ადამიანის საკადრისი ჭეშმარიტი სიტკბოება“.

აქედან ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძემ ნინო ბაგრატიონის პიროვნებაში დაინახა განსაკუთრებული ადამიანი, — ის იდეალური ქალი, დედა და დედაკაცი, რომელსაც მისი აზრით, გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებია საქართველოს განახლების დიდ ეროვნულ საქმეში.

ცნობილია, რომ იმ „სამართლიანი საზოგადოების“ საფუძველს, რომლის აშენებისათვის ი. ჭავჭავაძე და მისი სახელოვანი თანამებრძოლები (თერგდალეულები) ილვწოდნენ, წარმოადგენდა თავისუფალი შრომა, რომელიც ილიას მთელი მოძღვრების ქვაკუთხედია. ამითაა განპირობებული, რომ „შრომის ახსნისა“ და მშრომელი ადამიანის განსაკუთრებული პატივისცემის იდეა წითელ ზოლად გასდევს მწერლის მთელ შემოქმედებას. ილიას აზრით, ყოველი ადამიანი, რა წოდებისაც არ უნდა იყოს იგი, მოვალეა იშრომოს და თავისი ადამიანური ღირსება შრომაში პოვოს.

თავის წერილ-ნეკროლოგში ილია ლაპარაკობს ძველი საქართველოს სახელოვან ქალებზე, რომლებიც არა მარტო მოსიყვარულე დედები იყვნენ, არამედ თავდადებული მშრომელებიც. იგი იმოწმებს ცნობილი მღვდელმთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის ცნობარს და მიუთითებს, რომ თვით ღვთისმშობელი წმინდა მარიამი, ძველად, დედობისა და შრომის სიმბოლოდ ანუ ხატად ყოფილა მიჩნეული, ახალ დროში კი, სამწუხაროდ, ვითარება შეიცვალაო. „დღევანდელ ქალს, — ამბობს ილია, წარმოდგენი-

ლი აქვს იგი სასიქადულო ხატი კი არა, არამედ სამოდო სურათი ქალისა, რომელსაც თავზედ ადგია უშველებელი კოშკიშლიაპა და ნაოჭ ქვეშ დატანებული აქვს არა ნაკლებ უშველებელი კურტან-ტიურნირი! აი დღევანდელის ქალის სასურველი და სანატრელი სურათი!.. სიმაღლე შლიაპისა და სიდიდე ტიურნირისა. აი იგი ნიშანი დღევანდელის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა“.

და აი, ასეთ უნუგეშო ვითარებაში გამოჩნდა ნინო ბაგრატიონი — დიდბუნებოვანი ქალი, მსგავსი ძველი ქართველი ქალებისა, აღსავსე შინაგანი ღირსებებით, თავმდაბალი და ყველასაგან გამორჩეული თავისი მტკიცე ნებისყოფით და დამოუკიდებელი ხასიათით! ბუნებრივია, რომ მასში დიდმა ქართველმა მწერალმა და მოაზროვნემ თავისი იდეალი დაინახა.

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე ნინო ბაგრატიონის ცხოვრებას, როგორც ნიმუშსა და მაგალითს ქართველი ქალის მაღალზნეობრივი ცხოვრებისას, ეს კარგად ჩანს მისი შემდეგი, უაღრესად დამაფიქრებელი და ბრძნული მსჯელობიდან:

„კნეინა ნინო იყო ერთი იმისთანა იშვიათი დედაკაცი, რომელმაც იგი ჰქმნა, რაც ჩვენის ფიქრით, ყველაზე ძნელია ადამიანისათვის... მან იპოვა და აიჩინა საგანი თავისის ცხოვრებისა... მარტო გონება-მაღალს კაცს აქვს წყურვილი ცხოვრების საგნის აჩენისა და მარტო გონება-მაღალს კაცს შეუძლიან აღნიშნოს იგი საგანი მთელის თავის სიგრძე-სიგანით ისე, რომ ყოველს ჟამს წარმოდგენილი ჰქონდეს, როგორც თავისი ხელის-გული, არც გადაჭარბებით, არც დაკლებულად. აქ სიდიდე თითონ საგნისა არაფერს შუაშია... საქმე მაღალზნეობისა იმაშია, რომ ადამიანმა ის მოიტანოს წუთისოფლის სუფრაზედ, რაცა აქვს. ვინც მართლად აღნიშნავს თავისს მოსატანს და უკლებლად მოიტანს, მასზედ ითქმის, რომ იპოვა საგანი ცხოვრებისა და განახორციელა კიდეც. ამისთანანი იშვიათნი არიან და ამ იშვიათთაგანი იყო აწ გარდაცვალებული კნეინა ნინო ბაგრატიონ-მუხრანსკისა“.

საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ი. ჭავჭავაძე, როგორც ჩანს, თვითონ დასწრებია სოფელ დიღომში ნინო ბაგრატიონის დასაფლავებას და ყურადღება მიუქცევია, როგორ დასტიროდნენ მიცვალებულს ამ სოფლის დედაკაცები. ილიას გადმოცემით, ქალები მოთქვამდნენ: სად მიგვიხვალ ქვეყნის სასარგებლო დედაკაცოო! საცა შენი ხელი მისწვდა, კლდეც კი აჰყვავდაო. ამ სიტყვებს ილია დასძენს: მართალიცა სთქვეს, მაგისთანა ადამიანთაგან შენდება ქვეყანაო.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ილია ჭავჭავაძემ შესაძლებლად მიიჩნია ნინო ბაგრატიონის ღვაწლი ბიბლიური სოლომონის დედის ღვაწლთან შეედარებია და იმ ლეგენდარული ქალის მაღალზნეობრივი თვისებები ნინო ბაგრატიონზე გაევრცელებია.

აი, რა მიუწდომელ სიმაღლეზე აიყვანა ილია ჭავჭავაძემ შრომა და მშრომელი ადამიანი!

თავისი შესანიშნავი წერილი-ნეკროლოგი მან შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „ნეტა იმ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მხნე დედაკაცები!“.

ეს ნატვრა იგივე წმინდა ანდერძია, რომელიც ერის მამამ ყოველ ქართველ ქალს დაუტოვა.

# პოეტია, ქალია!

ლინა ბარათაშვილი

ოცნების ფრთებს უშლის მუზა
პოეზიის ქარია.
მერე სახლში დაფუსფუსებს,
აბა რა ჰქნას, ქალია.
არის თვითონ თუ არ არის
მუდამ ამის მსურველი,
ლექსსაც დაჰკრავს ზოგჯერ საპნის,
ცხელი უთოს სურნელი.
ზეცაშია, მიწაზეა
გრძნობ, რომ სადღაც ზღვარია,
მაგრამ სადაც უნდა იყოს
პოეტია, ქალია.
ბავშვს სიცხე აქვს,
ლექსსაც ეწვის
ვარდისფერი ლაწვები,
ღამეს ანთებს ქალის, დედის
და პოეტის განცდები.
იისფერი, ვარდისფერი
პოეზიის ქარია...
სულში მღერის უნაზესი:
ქალი მაინც ქალია.
ქალია და სიყვარული
ცისკარივით აუნთე,
წვეთიწვეთად დაახარჯე
შენი გულის საუნჯე.
თუ გაგიცვდა ერთგულება
და სიყვარულს ხელსა ჰკრავ,
ეს იცოდე: ქალში პოეტს
და პოეტში ქალსა ჰკლავ.
ოცნების ფრთებს უშლის მუზა,
პოეზიის ქარია.
ქურასთანაც დაფუსფუსებს,
აბა რა ჰქნას, ქალია.
სადღაც თითქოს გაორდება,
გრძნობ, რომ სადღაც ზღვარია,
რადგან იგი ორივეა,
პოეტია, ქალია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკის ქალთა საბჭოების საყურადღებოდ!

**გრძელდება კონკურსი „ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მანდილის“ მოსაპოვებლად.**

**კონკურსის მიზანია გაააქტიუროს ქალთა საბჭოების მუშაობა, ქალის — მშრომელის, დედის, დიასახლისის შრომისა, დასვენებისა და ბავშვთა აღზრდის პირობების გასაუმჯობესებლად; მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, ახალგაზრდა ოჯახების, მარტოხელა მოხუცების დასახმარებლად.**

**კონკურსის შედეგები დაჯამდება ყოველი მომდევნო წლის 8 მარტისათვის.**

**გამარჯვებულებს მიენიჭებათ I, II, III ადგილები, ხოლო დანარჩენები დაჯილდოვდებიან რედაქციის საპატიო სიგელებით.**

**გამარჯვებას გისურვებთ, მეგობრებო!**

# მადლიერება



ქალთა საბჭოს თავმჯდომარე მედეა თევდორაშვილი (მარცხნივ) ესაუბრება მ. დარსაძეს

**მარინე ოტიაშვილის ამბავი ასე დაიწყო. რედაქციაში მოვიდა ახალგაზრდა, 28 წლის ქალი, ექვსი შვილის დედა. ის ლენინის რაიონში ცხოვრობს, კერძო მფლობელობის ბინაში. მისი მეუღლე მეორე ჯგუფის ინვალიდია, დედამთილი — პენსიონერი. ოჯახში სულ ცხრა სულია, სახლი კი ძალზე ძველია, ავარიული (რემონტს საჭიროებს), შიგ არც გაზია, არც გათბობა.**

რედაქციამ თხოვნით მიმართა ლენინის რაიონის ხელმძღვანელობას. ისინი, როგორც გამონაკლისს, დაეხმარნენ ოტიაშვილების ოჯახს.

სიტყვა „გამონაკლისი“ ნუ გაგიკვირდებათ. ვინაიდან ბინა კერძო მფლობელობისაა, ბუნებრივია, რაისაბჭოს აღმასკომის ბიუჯეტში მისი შესაკეთებელი ხარჯები არ არის, მაგრამ ოტიაშვილების ბინას კაპიტალური რემონტი მაინც ჩაუტარდა. ახლა ფიქრობენ, როგორმე გაზი დაუდგან და გათბობის სისტემა გაუყვანონ.

მრავალშვილიანი დედა დიდ მადლობას უხდის ლენინის რაიონის ხელმძღვანელობას, რაიონის ქალთა საბჭოს და მშობელთა ნებაყოფლობით საზოგადოებას. დიდ მადლობას უხდის აგრეთვე თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მთელ პედკოლექტივს, რომელიც მზრუნველობას არ აკლებს ოტიაშვილების ბავშვებს, მოსწავლის ფორმებით, საჭირო სასკოლო ნივთებით ასაჩუქრებენ. ამ სკოლასთან არსებულმა მუსიკალური სტუდიის გამგემ ციური გაგნიძემ და პედაგოგმა გულიზა ჭოლაძემ ოტიაშვილების ბავშვები მუსიკალურ განათლებას აზიარეს.

ლენინის რაიონის მრავალშვილიანი ოჯახები და მათ შორის ოტიაშვილები უფასოდ იღებენ წამლებსა და მედიკამენტებს მე-13 აფთიაქიდან.

მარინე ოტიაშვილმა, დიდი ოჯახის პატარა დიასახლისმა, უფრო ახლო გაგვაცნო და დაგვანახვა თბილისის ლენინის რაიონის ქალთა საბჭოს მუშაობა, რომელსაც პარტიის ლენინის რაიკომის მდივანი მედეა თევდორაშვილი ხელმძღვანელობს.

ქალთა საბჭოსთან მოქმედებს მშობელთა ნებაყოფლობითი საზოგადოებაც, რომელსაც ახალგაზრდა ენთუზიასტი მედეა დარსაძე უდგას სათავეში.

მშობელთა ნებაყოფლობითი საზოგადოება ერთადერთი და სამაგალითოა თბილისში. მისი ტყუპისცალი ზესტაფონში არსებობს.

ლენინის რაიონის ქალთა საბჭოში 21 წევრია. ეს ის ქალები არიან, რომლებიც

ოჯახს, სამსახურს და საზოგადოებრივ დავალებებს უხმაუროდ უძღვებიან და გვერდში უდგანან ქალთა საბჭოს, ესენი არიან: ვალენტინა საჯაია, მანანა წნორიაშვილი, მანანა დარსაძე, ლუბა სვანიძე და სხვები.

ლენინის რაიონის ქალთა საბჭოში 170 ქალთა საბჭოა გაერთიანებული. აქედან ყველაზე სრულყოფილად საქმიანობენ საწარმოო გაერთიანებების — „ელმავალმშენებლის", „ელექტროაპარატის", პირველი მაისის სამკერვალო ფაბრიკის და სართავი ფაბრიკის ქალთა საბჭოები.

რით არიან ეს ქალთა საბჭოები გამორჩეულნი, — საქმით, მადლით, ადამიანებისადმი რეალური დახმარებით. მაგალითად, „ელმავალმშენებელი" ქარხნის ქალთა საბჭოს დევიზია: ჯანმრთელობის შემდეგ პირველი პრობლემა ბინაა. ამიტომ ვიბრძოლოთ საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. თუ საწარმოს მუშაკს მეხუთე შვილი შეეძინება, მას საცხოვრებელი ბინით აკმაყოფილებენ.

პირველი მაისის სამკერვალო ფაბრიკაში ასეა: ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებისას მრავალშვილიან და ხელმოკლე ოჯახების მოსწავლეებს უკერავენ სასკოლო ფორმებს და უძენენ სასკოლო ინვენტარს.

საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში" ბაზრობები ეწყობა, სადაც იყიდება ბავშვთა ტანსაცმლის დიდი ასორტიმენტი, ფეხსაცმელი და სხვა საოჯახო დეფიციტური საქონელი.

ლენინის რაიონის ქალთა საბჭო ხელმოკლე, მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს ყოველწლიურად ფულადი თანხით ეხმარება.

ამ ორი წლის მანძილზე ლენინის რაიონის ქალთა საბჭოსა და მშობელთა ნებაყოფლობითი საზოგადოების უშუალო ჩარევითა და ზრუნვით თერთმეტი ოჯახი ურიგოდ დააკმაყოფილეს საცხოვრებელი ბინით.

ლენინის რაიონის ქალთა საბჭოს მუდმივი საზრუნავი ობიექტია პერსონაალურ პენსიონერთა სახლი. აქ თითქმის ყოველდღე საბჭოს რომელიმე წევრი მორიგეობს. მათი შეხვედრები, ღონისძიებები, საღამოები, სადღესასწაულო სტუმრობები ძირითადად ქალთა საბჭოს ინიციატივით ეწყობა.

ქალთა საბჭოს მარინე ოტიაშვილის მსგავსი დედები ბევრი ჰყავს. საზრუნავი ჰყავთ მარტოხელები, პენსიონერები, სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახები. მოზარდებს და ახალდაქორწინებულებსაც ყურადღება სჭირდებათ.

„იმ დიდი ყურდღების, გულისხმიერებისა და სიკეთის პასუხად, რასაც ჩემი ოჯახის მიმართ, ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის თავდგომობით, იჩენენ პარტიის ლენინის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობა, ქალთა საბჭო და მშობელთა ნებაყოფლობითი საზოგადოება, დიდ მადლობას ვუხდი ყველას", წერს რედაქციას მარინე ოტიაშვილი.

გვემრავლოს მადლიერთა სახელები!

ირმა ჩოფიკაშვილი



## მე-12 ხუთწლედის მშენებლობა



**კავკასიის გზათმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის ხელმძღვანელს ლეონიდ ილიას ძე ქვარცხავას ესაუბრება ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ელისო ბილანიშვილი.**

**კითხვა**: რით გამოიხატება თქვენი ინსტიტუტის ძირითადი საქმიანობა?

**პასუხი: ჩვენი ინსტიტუტი ძირითადად საპროექტოა. ვაწარმოებთ მშენებლობისწინა გეოლოგიურ-ტოპოგრაფიულ სამუშაოებს, რის შედეგადაც ვადგენთ ასაშენებელი ხიდების, გვირაბების, რკინიგზების პროექტებს.**

**კითხვა**: ცნობილია, რომ თქვენი ინსტიტუტის პროექტით შენდება მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა. როდის დაიწყეთ ამ პროექტზე მუშაობა და რატომ გახდა აუცილებელი მისი მშენებლობა?

**პასუხი: როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში წამოიჭრა წარმოე-**

# რკინიგზა-მარაბდა-ახალქალაქი

ბაში ბუნებრივი რესურსების გამოყენების საკითხი, ამ დიდმნიშვნელოვან წამოწყებას ჩვენი ინსტიტუტიც გამოეხმაურა. ყურადღება მივაპყარით სამხრეთ საქართველოს. მისი მთიანეთი საქართველოს მთელი ტერიტორიის 7,6 პროცენტს შეადგენს, მოსახლეობა — 4 პროცენტს. ეს მხარე გამოირჩევა კარგად განვითარებული მესაქონლეობით, მეკარტოფილეობით და მეხილეობით. სხვათაშორის, ჯავახეთი ცნობილია შვეიცარიული ყველის წარმოებითაც. ყველა ეს პროდუქტი მოითხოვს დროულად და მთლიანად გადაზიდვას. გარდა ამისა, სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოიპოვება სამშენებლო მასალის თვითნაბადი რესურსები, რომელთა ათვისებაც ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ ძლიერებას. თავდაპირველად შევადგინეთ გეოლოგიური პარტია, შევისწავლეთ მთიანი რაიონები, დავადგინეთ თვითნაბადი სამშენებლო მასალების ადგილმდებარეობა. ესენია, ტუფი (ფერადი ქვა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას წინათ სომხეთიდან შემოჰქონდა), წიდა, დიატომიტი, თაბაშირი, აქატი და ვულკანური პერლიტი, რომელიც მსუბუქი ბეტონის დასამზადებელი საუკეთესო მასალაა. აუცილებელი გახდა რკინიგზის მშენებლობა. ამის თაობაზე დავსვით საკითხი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მხარი დაგვიჭირა. 1979 წელს ჩამოყალიბდა საგზაო მშენებლობის შტაბი, რომლის ხელმძღვანელობა ითავა აწ განსვენებულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანმჯდომარემ ამხანაგმა ზურაბ პატარიძემ. ინსტიტუტმა შეადგინა გეოლოგიური პარტია ვალერიან უგრეხელიძის მეთაურობით — ექსპედიციის წევრებს მუშაობა უხდებოდათ კლდე-ღრეებში, მეტად ძნელ და რთულ პირობებში. დიდი დაბრკოლებების გადალახვით ჩაატარეს გეოლოგიური სამუშაოები, დაძლიეს ყოველგვარი სიძნელე და შეასრულეს დავალება. 1979 წლის მარტში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგვიმტკიცა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის პროექტი. 1980 წლის მაისიდან კი დაიწყო მშენებლობა. პროექტის მთავარი ინჟინერია გიორგი ჯაში.

**კითხვა:** რომელ რაიონებზე გაივლის რკინიგზა?

**პასუხი:** რკინიგზა დაიწყება მარაბდიდან, გაივლის მარნეულის, თეთრი წყაროს, წალკის, ბოგდანოვკის და ახალქალაქის რაიონებზე. „ტრანსმშენის“ ტრესტის კოლექტივი XXVII ყრილობას გამარჯვებით შეხვდა. ამ დღეს პირველი ელმავალი გავიდა მარაბდის სადგურიდან, გაიარა ცხრაძმა, წინწყარო, თეთრი წყარო, ნადარბაზევი, ბედიანი და წალკაში შეჩერდა. მშენებლები აგრძელებენ რკინიგზის მშენებლობას, რომელსაც წლის ბოლოსთვის დაასრულებენ.

**კითხვა:** როგორ მონაწილეობენ რკინიგზის მშენებლობაში ადგილობრივი მცხოვრებლები?

**პასუხი:** რკინიგზის მშენებლობას ყველა რაიონის ხელმძღვანელობა და მოსახლეობა დიდი აღტაცებით შეხვდნენ. ეს იმიტომ, რომ მშენებლობის დამთავრების შემდეგ გაუმჯობესდება მათი ეკონომიკური მდგომარეობა, გაადვილდება საქართველოს ცენტრიდან რაიონებთან და სოფლებთან მიმოსვლა. რაც მთავარია აშენდება ქარხნები, სადაც იშრომებენ მათი შვილები, შვილიშვილები და აღარ იქნება სოფლების დაცლის და გაპარტახების საშიშროება. ამ შეგნებით ყველა რაიონი, რომელთა ტერიტორიაზეც რკინიგზა გაივლის, აქტიურად მონაწილეობს მშენებლობაში. მათთან არის მთელი რესპუბლიკა.

ზურაბ პატარიძე ძალიან ხშირად იდგა ობიექტზე, მშენებელთა გვერდით, იგი სტიმულს აძლევდა მშრომელებს. ამის შედეგი იყო, რომ ხიდი ოც დღეში ააგეს. ჩვენც ამიტომ გავაკეთეთ თეთრი წყაროს სადგურის კედელზე მემორიალი.

**კითხვა:** მუშაობის დროს უდისციპლინობას ხომ არ ჰქონდა ადგილი?

**პასუხი:** მუშაობა მეტად რთული და დაძაბული გახლდათ, როცა საქმე მოითხოვდა სამუშაო საათებსაც კი არ ვსაზღვრავდით. ყველანი ერთსულოვნად, ერთნაირი მონდომებით ვშრომობდით. პროექტზე მუშაობისას, რომელსაც ჩვენი ინსტიტუტი აწარმოებდა, შეფერხება ან გეგმის შეუსრულებლობა არ ყოფილა თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გეოლოგიური მუშაობის ჩატარების დროს ნადარბაზევის რაიონში წავაწყდით მიწისქვეშა არქიტექტურულ ნაგებობას. ჩვენ შევეცადეთ ეს ისტორიული ძეგლი შთამომავლობისათვის დაუზიანებლად და მთლიანად შემოგვენახა. ამან კი პროექტის გადაკეთება და ხელოვნურ ნაგებობათა დამატება მოითხოვა. მართალია, მეტი დრო და შრომა დაიხარჯა, მაგრამ ისტორიული ძეგლი ხელუხლებლად შევუნარჩუნეთ ჩვენს ერს.

**კითხვა:** დღესაც ხომ არ საჭიროებს რკინიგზის მშენებლობა თქვენი ინსტიტუტის დახმარებას?

**პასუხი:** როგორ არა, მშენებლობისას წამოიჭრება ხოლმე ზოგიერთი ტექნიკურად გადასაჭრელი საკითხი. ამას ჩვენ გვატყობინებენ და მაშინვე ვგზავნით სპეციალისტებს, რომელნიც ადგილზევე სასწრაფოდ ადგენენ პროექტს.

**კითხვა:** ახორციელებთ თუ არა წამახალისებელ ღონისძიებებს?

**პასუხი:** ჯერჯერობით არა. მაგრამ როცა ობიექტზე მუშაობა დასრულდება, ფულადი პრემიები და ჯილდოები მაშინ გაიცემა. ჩვენ გვყავს მაღალკვალიფიციური ინჟინრები და გეოლოგები, რომელნიც მრავალჯერ არიან დაჯილდოებულნი ორდენებითა და მედლებით. სხვათაშორის, 1984 წელს საკავშირო სოცშეჯიბრში გამარჯვებისათვის ჩვენმა ინსტიტუტმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

**კითხვა:** ამჟამად რომელ ახალ ობიექტზე მუშაობთ?

**პასუხი.** სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს. დიდია ამ ხაზის მნიშვნელობა: წლის ყოველ დროს შესაძლებელი იქნება შეუფერხებელი მიმოსვლა ჩრდილო კავკასიის მიმართულებით.

დღეს ჩვენ კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის პროექტსა და თბილისის მეტროპოლიტენის რკინიგზათა პროექტებზე ვმუშაობთ და ვცდილობთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ დიადი ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ხორცშესხმაში.

ელისო ბილანიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისო ზარიძე

# მოლოდინი



მხატვარი ქარელ ფარულია

მოთხრობა

შოფერი იასონა ავტოსადგურის მოსაცდელში რკინის ბოძს აყუდებული იდგა. ნეკა თითზე წამოზრდილი ფრჩხილი წარამარა კბილთან მიჰქონდა, მაგრამ შეშინებული გადაიფიქრებდა ხოლმე, უფრო არ ამტკივდესო და ლოყაზედა ითათუნებდა გარედან. ქალაქში ჩავალ თუ არა, მაშინვე უნდა ამოვიღოო, გულში იქადნებოდა, ჩავიდე ჯერაო! კი არა სტკიოდა, როგორღაცა ღრღნიდა, ხეს შეჩვეული ჭიასავით. გულ-მუცელიც კი ეწოდა. სიგარეტი ტუჩის კუთხეებში გადაჰქონდ-გადმოჰქონდა, ბოლს პირში იგუბებდა, ეგება გამიყუჩდესო, მაგრამ სახე ისე ეღრიჯებოდა, ეტყობა, არ უყუჩდებოდა.

— ანალგინი გადაყლაპე, — უთხრა მოლარემ და სარკმელთან თავაწეულმა გამოხედა, ჩანთაში მიდევს, მოგცე?

— ანალგინი არა... — თავის თავს შეჰღრინა და დაელოდა, როდის გაუელვებდა, ჩავიდე ჯერაო... ჩაიხრიგინებდნენ ხოლმე სატვირთოები და თვითმცლელები, აშლიდნენ წუთის წინ ჩაწყნარებულ მტვერს, ბუღს დააყენებდნენ, მთელი ხმით ალმუვლებულებს გეგონება არე-მარე თან მიჰქონდათ. კაბინიდან გადმოხრილი შოფრები ხელების ქნევითა და ყიჟინით ესალმებოდნენ: — იასონას ვახლავართ, იასონას! — ზდრასტი, ძველო!

თავისი ლურჯად ალაპლაპებული ავტობუსი იქვე ედგა, სტუმართმოყვარე მასპინძელივით ორივე კარმოდღლეზილი, თეთრფარდებიანი და სულ ერთიანად დაკრიალებულ-დანარნარებული. უყვარდა, აფუსფუსებულ მგზავრებს შორიდან რომ ზვერავდა. უყურებდა, როგორ იღებდნენ ბილეთს, საათზე იყურებოდნენ, სკამებთან ბარგს იწყობდნენ, მერი ექთანი ფანჯარასა კეტავდა, ვიღაცას აგვიანდებოდა და კალათების სიმძიმით დაზნექილი გამორბოდა, კალატოზ წყალობას ცოლი, დარიკო, ვიღაცას ადგილს უცვლიდა, პარიკმახერი იზო ეწვალებოდა, ვერ გადაეწყვიტა, რომელ მხარეს დამჯდარიყო, რომ გზაში მზეს არ შეეწუხებინა. ისე საგულდაგულოდა ლაგდებოდნენ, გეგონებოდათ შორეულ მგზავრობაში მიდიანო. ქალაქი კი აქვე იყო, ცხვირწინ. ერთ საათში ჩახვიდოდი და მეორე საათს უკანვე ამობრუნდებოდი. ყველანი რომ დაბინავდებოდნენ, გული დაუარხეინდებოდა ხოლმე, ასე ეგონა, ეს მგზავრები თავისები იყვნენ, ახლობლები, იმასთან დროებით შემოხიზნულები და ყველასათვის თვითონ უნდა მოევლო, ეპატრონა, უნდა გაფრთხილებიყო და დაეცვა. რაღაცით გაამაყებული და კმაყოფილი ავტობუსში ყველაზე ბოლოს ადიოდა, მშვიდად მიუჯდებოდა საჭეს და გასწევდა.

ის იყო, კიბეზე ფეხი შედგა, აალაჯა და საგზურის ფურცელი მინასთან მიამაგრა, ვიღაცამ ამოჰკნავლა: — ძია...

ბიჭი ამოსცქეროდა, ქვემოდან, ერთი ციცქნა ჭორფლიანი. თითქოს უღიმოდა და არც უღიმოდა. რაღაცნაირად საწყლად მოშტერებულიყო, თითქოს ელოდებოდა, როდის დაუყვირებდნენ, რომ მაშინვე მოეკურცხლა. ხელები ფორმის შარვლის ჯიბეებში ეწყო. ის შარვალი დიდად ჰქონდა, ჩაფართხუნებული. უნდა დაეცაცხანებინა, აბა, მოუსვი ბაყაყურიო, მაგრამ თვითონაც ვერ გაიგო, რად მოლბა:

— რა გინდა...

— წერილი უნდა გაგატანო, — უკვე მუდარით ამოსცქეროდა, იმედითა და ვედრებით თვალებაციმციმებული, — მამაჩემთან...

— ჰოო, — რატომღაც გაუცინა იასონმა, — ეგ სხვა საქმეა.

გასაღები გადაატრიალა, გაზს დააწვა და მოტორის მშვიდ, თანაბარ ღუღუნს მიაყურადა. ბიჭს ისევ რომ მოხედა, სახტად დარჩა, წასულიყო. ოთხად გაკეცილი რვეულის ფურცელი მუხლებზე ედო და გაუკვირდა, როგორ ამომწვდაო. ამ პაცანას არ უყურებ შენო, გაეცინა და ის ოთხად მოკეცილი რვეულის ფურცელიც საგზურთან მიამაგრა.

გზაზე უკვე ჰყვაოდნენ ტყემლები. გადაყლორტვილ ბუჩქებს ჯერ ფოთოლი არ გამუქებიყოთ, ბაცად გულგადახსნილები იდგნენ და ტოტების შარიშურით მიაცილებდნენ. ხევებს, ბოძებს, წყაროს რომ ჩაუქროლებდა, ასე ეგონა, ღონდებოდნენ, რა გაგვაძლებინებს უშენოდაო, გამოსძახოდნენ და შურდათ, თვითონ დასჯილებივით რომ იდგნენ და იმასავით სადღაც არ ეშურებოდნენ. ჰაი, დედასა მტრისასაო, დასძახა, მალე ამოვივლი, მალეო. მთელი გზა წინ ხელისგულივით ჰქონდა გადაშლილი. ყოველი ხევი და მოსახვევი ზეპირად იცოდა, ყოველი ორმო და ხრეშის გორა. კენჭი რა იყო, კენჭი რომ გადაებრუნებინა ვინმეს, იმასაც შეამჩნევდა. ესენიც თითქო თავისიანები იყვნენ, მგზავრებივით.

ბაღებს რომ გასცდა, დიდი, გულღია სახლის ეზოდან გოგო გადმოუხტა თმაგაწეწილი ჭინკასავით, კრუხ-წიწილას შეშინებული მისწიოდა, აქშა, აქშაო, და იმ გაწეწილ თმაზე შორიდან მიეფერა, ნუ გეშინიაო, ნუ გეშინია, გოგოო და უცებ ის ბიჭი გაახსენდა, ჭორფლიანი. საგზურთან მიმაგრებულ, ოთხადგაკეცილ ფურცელს დასწვდა, შეატრიალ-შემოატრიალა, ახედ-დახედა და მხრები აიჩეჩა. არც გვარი ეწერა სადმე, არც სახელი, არც მისამართი, არაფერი. სულმთლად გაშალა და ცერად დახედა: ბავშვურმა, ლამაზად გამოყვანილმა, საგულდაგულოდ ჩაკიწკიწებულმა ასოებმა შემოანათეს, შემოსცინეს თითქოს, იმ ნამცეცას რა ლამაზი ხელი ჰქონიაო. თან გზას გასცქეროდა, თან დამარცვლითა კითხულობდა:

„ მამი, თუ გინდა, ველოსიპედს ნულარ მიყიდი. საბავშვო სახლთან რო გივია ცხოვრობს, ისა მსვამს ხოლმე, ეგრე მითხრა, ტარებას კარგა რომ ისწავლი, მარტოკამაც ისეირნეო. იმოდენა გავიზარდე, რომ შენი ქუდი უკვე კარგა მაქ. შენ რო წახვედი, სუ თვალებამდე მეფხატებოდა. ყოველ ღამე ვიზომებ. ლეიბის ქვეშ მაქ დამალული, რო არ დამეკარგოს, გინდა, რო ჩამოხვალ, მე და შენ სურათი გადავიღოთ. ღამე ვუყურებ ხომე და ვითომ ერთად დავიძინებთ. გინდა? რო დაცხება, თუ ქსანზე საბანაოთ გავიპარები, თუ გინდა, მცემე“... — ვაააჰ... — ხმამაღლა დაიკვნესა იასონამ. — კაცოო...

დაზაფრულივით იჯდა. გზას გამოშტერებული გასცქეროდა, მაგრამ ვერაფერსაც ვერა ხედავდა. გაოცებისაგან დაჭყეტილ თვალებში ბიჭის ჭორფლიანი სახე ელანდებოდა. ჩიტის ნისკარტივით დაღებული ტუჩები. ქერა, გაფშეკილი თმა, გეგონება მზეზე გამოხუნებიაო. სიჩქარე გამოცვალა. გაზს უკლო და ისევ გაშალა რვეულის ფურცელი, უკვე გაცრეცილი, კიდეებშემოცვეთილი. სანამ კითხვას დაიწყებდა, იმ გაცრეცილ კიდეებზე თითი გადაუსვა, ვინ იცის, რამდენ ხანს ატარებდა ჯიბითაო:

„ მამი, ზაზა ამბობს, შენ დედის გვარზე სწერიხარ და უმამო ხარო, აბა, რანაირათა ვარ უმამო, როცა შენი შვილი ვარ? ზაზას არა

სჯერა, რომ ქალაქში მუშაობ და არა გცალია. როცა ჩამოხვალ, თუ გინდა ზაზას გაგაცნობ, რო უმამო აღარ დამიძახოს. გინდა? ნათელა მასწავლებელმა მითხრა, თუ კარგა ისწავლი, მამაშენი რო ჩამოვა, სუ შენთან დარჩებაო. სუ ხუთიანებს ვიღებ სკოლაში, მამი. თუ გინდა, ნათელა მასწავლებელსა ჰკითხე. გინდა? მარტო იმაზე ვაბრაზებ, ფაფას რო არა ვჭამ. ხო გახსოვს, სუუ პატარა რომ ვაყავა, მაშინაც ხომ არ მიყვარდა გახსოვს? თუ გინდა, შენ რო არ გაბრაზდე, ჩუმათ დავიფიცები, მამა მომიკვდეს, თუ არა ვჭამო-მეთქი და შევჭამ. გინდა? ზაზას მამა რომ მოუვიდა, ხის უკან დავიმალე და ეგრე ვუყურებდი. განა შენსავით ღონიერია, რო. გამწლიკული, გამწლიკული, ნიავი გადააქცევს. ტრაბახობდა, მოჭიდავეაო. მოჭიდავე არა, ისა! თუთის ხის ქვეშ რო წითელი ქვა გდია, იმასაც ვერ დასძრამს. შენ კიდე, ეგეთი ღონიერი და მაღალი ხარ, ელექტრონის მავთულებსაც კი მისწვდები, განა ფეხის წვერებზე აიწევი, რო, ეგრევეც მისწვდები. სახელიც როგორი ერქო, ლადო. სად — ლადო და სად — ამირანი! ნათელა მასწავლებელმა გვითხრა, ამირანი ღონიერი და კეთილი კაცის სახელიაო. ეგრე უნდა დაგიძახო ხომე, მამა ამირან-მეთქი. გინდა?“

— ვააჺ... — ისევ დაგმინა იასონამ. — ვაახ, კაცოო...

გზიდან გადაუხვია და მინდვრის პირას გაჩერდა. თითქო დასცხაო, კარი გააღო და ეგრე მოღიავებული დატოვა. კბილი აღარა სტკიოდა, მაგრამ ყველაფერი სტეხდა. თითქოს გაწურესო, ოფლი გასდიოდა და საჭეს გახევებული დასჩერებოდა. ის ფურცელი კი, მართალი, უჯრედებიანი, გადაშლილი, მუხლებზე ედო და თვალი ისევ იქით გაურბოდა:

„ბურთიც როგორი ჩამოუტანა, რეზინისა. მე ვუთხარი, მამაჩემი ტყავისას ჩამომიტანს-მეთქი, მძიმე როა, ნამდვილი ფეხბურთელები რო თამაშობენ, ისეთსა-მეთქი. თუ გინდა, მართლა ჩამომიტანე. გინდა? ონისეს კიდე, თავის დედამ ზღაპრების წიგნი უყიდა. იმან მარტო სურათები დაათვალიერა: მე სუ წავიკითხე, იცი, რა მაგარია, დევებზე და გველეშაპებზე. რო ჩამოხვალ, თუ გინდა, მოგიყვები. გინდა? მამი, თუ ამირანი არა გქვია, გინდა, მართლა დაირქვი, სხვა კაცებსაც ხო ჰქვიათ ორ-ორი სახელები. შენ მამა ამირანი იქნები, მე — შვილი გიო. გინდა? სიზმარში რო მოდიხარ ხომე“...

უუჰ! აღარ შეეძლო. სული ეხუთებოდა. ძნელადა სუნთქავდა. გეგონება მხრებზე მძიმე გირები დაჰკიდესო, მოიკაკვა და თავი საჭეზე ჩამოდო. დაინახა საბავშვო სახლის დიდი ეზო, საცურაო აუზი, თოკზე გაკიდებული თეთრი ზეწრები, ფაქიზად მოვლილი გაზონები, ალვის ხეს ამოფარებული ბიჭი გასუსული იდგა და პატარა ხელებით ხის ტანს ეჭიდებოდა, გეგონება მისი წამოქცევა უნდაო. ზაზას მამა ხის გრძელ სკამზე მხრებდაშვებული, პირმოუპარსავი და გვერდზე გადაზნექილი იჯდა. დიდ, გაფლაშულ სანდლებში მოლაყლაყე მოკლე ფეხები დადამბლავებულებივით ეწყო და ბიჭს რაღაც უხაროდა. არადა, შვილის თავი მკერდზე მიეხუტებინა და ხელს ჩახუჭუჭებულ თმაზე უთათუნებდა. ზაზა ქვემოდან შესცინოდა, რაღაცას უყვებოდა და სულ ხითხითებდა, გეგონება ულუტუნებენო. ალვის ხეს ამოფარებული ბიჭი ვერ ისვენებდა, წრიალებდა. გამალებით უკრთოდა ჩიტის ბარტყივით მოცეცქნული გული და იქვე, ხის ქვეშა ჯდებოდა, მიწაზე. გამხდარ მუხლებზე ხელები შემოეხვია და თავგადაგდებული, ზურგით ხის ხორკლიან ტანს მიყრდნობილი, ალვის ხეების კენწეროებით დაფხრეწილ ცას აჰყურებდა. და ვითომ იმ ცის ადგილზე მწვანე მინდორი იყო, ძალიან, ძალიან ლამაზი, სულ ყაყაჩოებითა და ფერად-ფერადი ყვავილებით გადაჭრელებული და შუაში, თეთრად გაჭრილ ბილიკზე, მამა მორბოდა მკლავებგაშლილი, შავ ქოჩორს ქარი უწეწავდა, იცინოდა და ეძახდა: „გიიოო“... ბიჭი კიდევ, მეორე მხრიდან გამორბოდა, ბილიკის მეორე ბოლოდან, სუნთქვაშეკრული, გულამოვარდნილი, ცოტალა რჩებოდა, სულ ერთი ბეწო მანძილიღა რჩებოდა და იმ მანძილს მამა ერთი ფეხის დაკვრითა ლევდა. ღონიერი, მაღალი ამირანი ბიჭს ხელში ბუმბულივით იტაცებდა და აგუგუნებულ მკერდზე იკრავდა. ბიჭიც ეხუტებოდა, დარცხვენილი, სახეს სირბილისაგან გაოფლილ ხალათში უმალავდა, რომ ცრემლი შეშრობიყო, ხანამ მამა დაუნახავდა. და თან უკვირდა, რად ასდიოდა მამას მინდვრის სუნი... ხის ძირში ჩამჯდარი ბიჭი ცას აჰყურებდა და იღიმებოდა, ბედნიერი. ისეთი ტკბილი იყო ის წამი, მამა ბუმბულივით რომ იტაცებდა, მკერდზე რომ იკრავდა, არა და არ ეთმობოდა. თვალებსა ხუჭავდა და წარმოდგენას იმეორებდა: მორბოდა მამა, მაღალი ღონიერი, შორიდანვე შემოსცინოდა: „გიი-ოო“... ზაზა კიდევ, მკლავზე ექაჩებოდა, გაბადრული: „გიო, გიო, ადე, ვითამაშოთ, ნახე, როგორი ბურთი ჩამომიტანა მამაჩემმა, ნახევარი წითელია, ნახევარი — მწვანე“. მამაჩემს ამირანი ჰქვია, — პირში ახლიდა ბიჭი, — ეგეთი ღონიერია, წითელ ქვას მაგ შენი ბურთივით აბურთავებს“. „ამირანი არა, ისა! უმამო ხარ. მარტო დედა გყავდა“. „მყავს! მყავს!“ წიოდა ბიჭი. ტუჩებს კბილებით იძიძგნიდა და პატარა ხელებსა მუშტავდა... მერე დიდი ბიჭები აშველებდნენ. დაკაწრული ზაზა განზე იდგა და დიდ ბიჭებს მუქარით შეზლუქუნებდა: „მაგან ვიღაცის ქუდი იპოვა და ეგრე იძახის, მამაჩემისააო. მე რომ მყავს, კიდევაც მოდის. დაიცა, თუ არ ვუთხრა“...

ცუდადა ხარო? ვიღაცა ანჯღრევდა, ცუდად ხო არა ხარ, კაცოო? თავი ასწია, თვალები ხელებით მოისრისა და ძალიან გაუკვირდა, გარეთ, მინდორში, მწვანედ მობაბანე ბალახი რომ დაინახა. ელექტრონის ბოძზე ძერა ეკიდა. მხარზე თოხგადებული გლეხი ტაატით მიიზლაზნებოდა. ავტობუსში კიდევ, მგზავრები ყაყანებდნენ. დარეტიანებულივით წამოდგა და იმათკენ გააბოტა. „პაკრიშკა დეეშო“? — ზურიკომა ჰკითხა.

— პატარა ბიჭი რო იყო... — გაჭირვებით დაილაპარაკა.

ჩუმად ისხდნენ. თავ-თავიანთ საზრუნავს ჩაფიქრებულები და ვიღაცას გაავებულმა შეუღრინა, გეგონება საცაა დასაგლეჯადაც მიეტანებაო:

— პატარა ბიჭი არ დაინახეთ? ავტოსადგურში რო მოვიდა...

— რომელი, შვილო? — შავკაბიანმა დედაკაცმა შეჰღიმა. — რა იყო?

— ჭორფლიანი? — პარიკმახერმა იზომა ჰკითხა, გამხდარმა და ბეჭდებასხმულმა. — პრიუტელია. მოგპარა რამე?

— ის ბიჭი სუ ავტოსადგურში დეეხეტება. იმ დღესაც ავტობუსიდან ჩამოსვეს. — უკანა რიგიდან გადმოსძახა ვიღაცამ.

— ვისია...

— ბედდამწვარი ლიდასია. — ისევ პარიკმახერმა იზომ უთხრა. — არ გახსოვს, სასადილოს დამლაგებლად რო იყო. გაღმასოფლელმა ჯემალამ ქალაქიდან ჩამაიტყუა. მჭედელ გაიოზაანთ დგმურათ იდგა.

— რომელმა ჯემალამ...

— თინიკაშვილი ჯემალა, კაცო. რო მალიარობდა. კასპში რო გადასახლდა.

ერთი პირი ცოლ-შვილი გაღმა დაყარა.

— უბედური ლიდა. — გაახსენდა ექთან მერის — მოსარეცხედაც დაჰყავდათ ხოლმე. ალიოშას ქელეხში ქვაბები იმან დამიხეხა.

— ალბათ გული უგრძნობდა, საოპერაციოდ რომ მიდიოდა, ეგ ბიჭი პრიუტში ჩააბარა. რამე ხომ არ მოგპარა? — ძალიან აინტერესებდა პარიკმახერ იზოს.

გამოტრიალდა და თავის ადგილას დაჯდა. დაქოქა ავტობუსი, ცოტა გაიარა, ხან ნელა, ხან გააჩქარა, გეგონება საჭეს ვერ იმორჩილებსო, აცა-ბაცა გაურბ-გამოურბოდნენ ბორბლები. მერე უცებ შემოაბრუნა და... გაუტია. დაიბნენ მგზავრები, აჩოჩქოლდნენ: სად მივყევართო, ქა, უკან გაგვაბრუნაო? ეს რა ღვთის წყრომაა, მაგის თავ, განა არა, დილიდანვე გაბრუებულივით იყოო. ვიღაცა ყვიროდა, ვიღაც იმუქრებოდა, გიჩივლებთ, იცოდეო, ქალაქში უსაქმოთ კი არ მივეხეტებით, საქმეზე მიგვეჩქარებაო. დარიკო ეხვეწებოდა, გააჩერე დედა-შვილობას, გზაზე ჩამამსვი, სხვა რამეს გავყვებიო. არაფერიც არ ესმოდა, უმატებდა და უმატებდა სიჩქარეს, ფეთიანივით მიაქროლებდა და აყაყანებულმა მგზავრებმაც შიშისაგან ენა მუცელში ჩაიგდეს. სავარძლის სახელურებს ჩაბღაუჭებულები გზასღა გაჰყურებდნენ გულგახეთქილები. ტრასიდან რომ გადაუხვია და ქსანი გადაიარა, ქისტიბერიაანთ ზურიკომ დასძახა, კასპში მივყევართ, კასპში, ეგრე გადაგვიყვანს ლამისყანაზე, მოკლეზე გადავაო. ისევ ატეხეს ერთი ვიშ-ვიში, ისევ აქოთქოთდნენ, უიმე, კასპში რა დაგვარჩენია, გაგონილა, ადამიანო, ესეთი უსამართლობაო...

„თუ ქსანზე საბანაოთ გავიპარები, თუ გინდა, მცემე“... ბიჭი ჩასძახოდა ხმამაღლა, ზედ ყურთან ურეკავდა ზარივით და გაზს უფრო დააწვებოდა ხოლმე, რომ მოტორის ღმუილში ის ხმა არ გაეგონა. პარიკმახერი იზო კაბინასთან ედგა, რკინის მილს ორივე ხელით ჩაფრენილი და მგზავრებს აწყნარებდა:

– ჩუმათ ისხედით, თორე სადმე გადაგვყრის! ვჭება კაცს რა საქმე აქ...

კასპშიც ფეთიანივით შევარდა. სანამ ჯემალას სახლს მოძებნიდა, ერთი არ გაუფიქრია, რა მინდაო, რად ვეძებო, რა უნდა ვუთხრაო. მარტო ბიჭი ედგა თვალწინ, ჭორფლიანი და ლამაზად, საგულდაგულოდ ჩაკიწკიწებული ასოები უცქვავდნენ გზაზე: „თუ გინდა, მცემე"... დაბალ, გაუმართავ სახლთან რომ დაამუხრუჭა, ჯერ სიგნალი ჩართო, გაბმული, რაღაცნაირად აგანგაშებული, მერე ველარ მოითმინა, გადმოხტა და ეზოსკენ წასულმა დაიძახა:

– ჯემალ!

გამოვიდა ჯემალა, ლაღლაგა, წითელლოყებიანი, მკერდზე ჩამოსვენებული ლაბაბი უთამთამებდა, უნდოდ შემოსცინა ავტობუსს. იახონა დაძაგრული უახლოვდებოდა, ნება-ნება, უხმოდ თვალმიშტერებული და იმას ცუდად ენიშნა დუმილი, ფერფური წაუვიდა, ღობისკენ იხევდა და შემცბარი ლუღლუღებდა:

– რა იყო, ე, რა გეცა!

ნელა-ნელა უახლოვდებოდა, გეგონება სანატრელ წამებს იხანგრძლივებსო. მესერს რომ ააჭყლიტა, საკინძეში ჩაავლო ხელი, ტორივით და აქაჩა:

– ბიჭი სადა გყავს, ნაგავო!

– რა ბიჭი... ვინა!

– შენი ბიჭი. გიო.

– რა იცი, რო ჩემია! შენ რა...

ალარ დაამთავრებინა. გაუშალა და ლეწა. ძირს დასკდა და ყრუ ბრაგვანი გაიღო. რომ წამოდგა, ვარდისფრად გადააფურთხა და ავად ჩაისისინა:

– შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ...

სანამ ქვას დასწვდებოდა ჯემალა ისევა ლეწა, რამდენს დაარტყამდა, იმდენჯერ ტკბილად შემოპკვნესოდა გული. იმდენჯერ შეებითა და ნეტარებით ამოიხვნეშებდა ხოლმე და თითქო მსუბუქდებოდა, ლაღდებოდა და სიამოვნებას იწონინებდა: დააცდიდა, რომ წამომდგარიყო და, ისევა ლეწავდა... ავტობუსის ფანჯრებს მიმხკდარი მგზავრები დაფეთებულები გადმოსცქეროდნენ და მერე, თავპირდასისხლიანებული, სულ ერთიანად დაბეგვილი, დაქექილ-დალილავებული ჯემალა ღობის ძირში რომ მიეგდო, მაშინღა ჩაუცვივდნენ შუაში, ეყოფაო, ემანდ არ შემოგაკვდეს ეგ სამიწე და ცოდო არ დაიდოო...

დაბის ავტოსადგურში რომ შემოქროლდა, შუადღე კარგა გადასული იყო. იჯდა და ელოდებოდა, როდის ჩაიცლებოდნენ. იქვე, რკინის რაფაზე გახაბერი ბურთი ედო, თეთრი და შავი ტყავებით შეკერილი, მძიმე. გვერდზეც, თეთრ ქაღალდში ზეთგამოჟონილი, ბაწარ გადაჭერილ-გადმოჭერილი, ახაწყობი ველოსიპედი, სარკმელთან თავდახრილმა მოლარემ გამოსძახა, რა მოგივიდა, ბიჭო, ერთი რეისი აართქლეო? ჩამოვიდა და საგზური მიაწოდა:

– სიქა გამაცალა ამ ოხერმა კარბიურატორმა. მთელი გზა სუ მაგის ლოლიალში ვიყავი. ბიჭი არ დაგინახია აქა?

– ვინ ბიჭი...

– პატარა. ჭორფლიანი.

– რა დროს ბიჭია, ჩადი ატეკაში, ბიჭს მოგცემენ შენა!

მერე ავტობუსი საბავშვო სახლთან ეყენა. ტყავის ბურთსა ბერავდა და ჭიშკარს გასცქეროდა:

„ვეტყვი, ბურთი და ველოსიპედი გამოგიგზავნა და თვითონაც მალე ჩამოვა-მეთქი. და როგორ ვუყურო... ავტოსადგურს ალარ მოშორდება. ვერ ვიპოვე-მეთქი ეგრე ვეტყვი. ვინმესთვის უნდა მეკითხა, როგორა სჯობია... მასწავლებლისათვის. ვეტყვი, რო"...

ჭიშკარი შეაღო და მაშინვე დაინახა ბიჭი. ეზოს ბოლოში, ფრენბურთის სათამაშო მოედანზე იდგა და შორიდანვე შესცინა:

– გიი-ოო!

უცებ გამოქანდა ბიჭი, ჯერ რომ არ ეგონა, დამინახაო. შურდულივით გამოენთო, გეგონება ჰაერს მოაშხუილებსო და თვითონაც გავარდა. თვითონაც პატარა ბიჭივით გაენთო. „წინაც არ იყურება, ფეხი არაფერს წამოჰკრასაო," – შეშინდა და მკლავები გაშალა, რომ დაეჭირა, მალე აეტაცებინა ხელში. და ისე ტკბილი იყო ის წამი, ბუმბულივით რომ აიტაცა, მკერდზე რომ მიიკრა, არ ეთმობოდა, თვალი დახუჭა, გარინდულმა.



# „ფანტაზია და მარჯვე ხელები"

ეროვნული ბიბლიოთეკა



წითელქუდა



თითზე სათამაშო თოჯინები



„ტყის ბინადარნი" (მაგნოლიის კვირტებისაგან)



კურდღელი

[illegible] ძალიან უყვარს სიტყვა „გამახა[illegible] ხშირად გაიგონებ: „გამახარე კაბა [illegible]", „გამახარე გოგონაა", „გამახარე [illegible]-მამულია" და სხვა. ეს წმინდა, ხალხური გამოთქმაა, განსაკუთრებით ქართლ-კახეთისათვის ნიშანდობლივი... რატომ არ შეიძლება კარგ წიგნსაც „გამახარე წიგნი" ეწოდოს?

გამახარე წიგნი! „ფანტაზია და მარჯვე ხელები" ჰქვია მას. ავტორი — ყველასათვის ცნობილი მხატვარი და საბავშვო მწერალი ნელი ოქროპირიძე. გამომცემლობა „განათლება". 1985 წელი. ტირაჟი: ასი ათასი.

ასი ათას ოჯახში შევიდა იგი და გაახარა პატარები, მათი დედ-მამა. ასი ათასი და მეტი მსურველი დარჩა ალბათ, რომ მათ ოჯახშიც ხმიანობდეს, წკრიალებდეს და ფერადოვნებდეს ეს წიგნი პატარების სასიხარულოდ, მათში ესთეტიკური გრძნობის გასაღვიძებლად.

„ფანტაზია, ხატვა და მარჯვე ხელები სასწაულებს ახდენენ, ეს თვისება კი ბავშვს აუცილებლად პატარაობიდანვე უნდა გაწუვითაროთ" — წინასიტყვაობიდანვე შეგვახსენებს ავტორი ამ ძველთაძველ სიბრძნეს: ჰარმონია, სილამაზის ტრფიალი, ფანტაზიის სიყვარული ბუნების სურათოვნების აღქმა დიდ როლს ასრულებს ბავშვის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში. ეს კი უფროსების, მშობლებისა და პედაგოგთა წმიდა ვალია. გამორჩეული ნიჭიერების მქონე შემოქმედი ნელი ოქროპირიძე ყოველთვის კარგ წვლილს იღებს ამ დიდ საქმეში. მისი გამახარე წიგნიც ხომ ერთგვარი ჯამია იმ ღვაწლისა, წლობით რომ ეწევა მხატვარი.

აიღეთ ეს წიგნი, გადაშალეთ და დატკბით. „სანამ მუშაობას შეუდგებოდეთ, აიღეთ წებო, მაკრატელი, ნემსი, ფანქარი, პატარა დანა, ფუნჯები და ფერადი საღებავები"... ასე იხსნება კარი ფანტაზიისა. თურმე რამდენი სასწაულის მოხდენა შესძლებია ამ საგნებს. თვით ნემსსაც და მაკრატელსაც, ხშირად ხელში რომ ვერ ვანდობთ ჩვენს პატარებს. აბა, წიგნის ქვეთავებიც ჩამოვთვალოთ და აქედანვე შევაბიჯოთ ფანტაზიაში: „გეომეტრია და ფანტაზია", „ფერადი ქაღალდების ფანტაზია", „ფანქრისა და მუყაოსაგან", „თოჯინები", „კვერცხი და კონუსი", „გაცოცხლებული სათამაშოები", „რბილი აპლიკაცია", „შენი თოჯინების თეატრი", „მხიარული კარნავალი"... მართლაც რომ მხიარული კარნავალია, თანაც გამრჯე ბავშვებისაგან შექმნილი, აჟრიამულებული და ამ კარნავალზე ვინლა არ არის მოწვეული, დაპატიჟებული: ჭიამაია, ფინჯანი, პეპელა, ზღარბი, სოკო, ცისფერი გვირგვინა ყვავილი, თოჯინა, კურდღელი, მამლაყინწა, კრუხ-წიწილა, ვეფხვი და ჭოტი, მაიმუნი და თევზი, ჩანთა და ქამარი, ქოლგა და კურდღელი, გოჭი და მერცხალი. ვინ ჩამოთვლის, ვინ ალნუსხავს: ვარდი მეწამულობს, ყაყაჩო ფრიალებს, ღიღილო შრიალებს, ზამბახი ყელყელაობს, თაიგული თაიგულობს და ნაკადულივით კისკისებს მთელი წიგნი. ამიტომ მადლობა უნდა ვუთხრათ ყველას, ვინც ხელი შეაშველა, იშრომა, დაბეჭდა და გზა დაულოცა ამ მშვენიერ საჩუქარს პატარებისას!... მადლობა უნდა მოვახსენოთ თვით ავტორს, ასე ხშირად რომ ვნახულობთ ტელევიზიის ეკრანზე, ვით მასწავლებელს, თავისი განუყრელი ფანქრით, ფუნჯით, ფერადი საღებავებით, წებოთი და ნემსით. რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ნელი ოქროპირიძე თითქოს თვითონაც იმ ფანტაზიიდან მოსულა, რომელიც ხიბლავს ადამიანებს, ატკბობს თვალსა და გულს!

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

> მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერ სხვას".
>
> ილია

# დედის როლი ბავშვის მეტყველების აღზრდაში

ძნელია დედის იმ დიდი და საპატიო როლის ყოველმხრივ წარმოდგენა და შეფასება, რასაც იგი ასრულებს ან უნდა ასრულებდეს ბავშვის მეტყველების აღზრდაში. დედაა პირველი მასწავლებელი და პირველი ლოგოპედი, ამიტომ გარდა ემპირიული გამოცდილებისა, საჭიროდ მიგვაჩნია ყველამ იცოდეს ზოგი რამ სპეციალური პედაგოგიკიდან, რაც დაკავშირებულია ჯანსაღი მეტყველების აღზრდასა და მოსალოდნელ გართულებათა თავიდან აცილებასთან.

კარგად აქვს პოეტს ნათქვამი: „სადაც ბავშვი არ ხმაურობს, იგი სახლი საზარია, ზარს რომ ენა ამოართვა იგი ზარი რა ზარია". აქ სიტყვა ხმაური, ცხადია, დადებითი გაგებით არის ნახმარი. უენო ან ენამოშლილი ბავშვი, როგორც საკუთარ თავს, ისე ოჯახსა და ახლომყოფთ უსიამოვნო გუნებ-განწყობაზე აყენებს.

ნათქვამია, მუნჯის ენა დედამ იცისო; ზოგჯერ შვილის პათოლოგიურ მეტყველებასთან შეგუების გამო მშობელი ველარც კი ამჩნევს ნაკლს. ან შეიძლება ამჩნევს, მაგრამ სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ იმედით, რომ ბავშვი მოზრდილობაში თავისით გამოისწორებს ნაკლს. მართალია, ფიზიოლოგიური ენაჩლუნგობის შემთხვევაში ზოგჯერ ასეც ხდება, მოგვიანებით იწყებს ბავშვი ნორმალურ მეტყველებას, მაგრამ სხვა, უშუალო ან გვერდითი მოვლენების გაუარესებით, ბავშვის პიროვნებაში რაღაც იბზარება.

ბავშვის მეტყველებაზე ზრუნვა, საერთოდ როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვაცაა, რადგან ერთიმეორეზე დიდ გავლენას ახდენენ და ხელს უწყობენ მეტყველების ამა თუ იმ სახის მოშლას, გაუარესების ან შეფერხების სახით.

როდის უნდა იწყებდეს დედა ბავშვის ჯანსაღ მეტყველებაზე ზრუნვას? — ბავშვის დაბადებამდე, უფრო სწორედ, იმ დროიდან, გულში დედობისათვის მზადების სურვილს რომ ჩაიდებს, როდესაც ოჯახის შესაქმნელად განეწყობა. ამიტომ, წინდახედულება და საკუთარი ჯანმრთელობის მოვლა-პატრონობა მომავალი შვილის ჯანმრთელობაზე ზრუნვასაც ნიშნავს.

დიდი სიფრთხილე მართებს დედას ბავშვის მუცლად ყოფნის პერიოდში. ყოფაცხოვრების დადგენილი წესების დაცვა, საერთო ჰიგიენა, ფიზიკური და სულიერი მიკროკლიმატის მოწესრიგება და წესიერი კვება აუცილებელ ნორმად უნდა იქნეს მიჩნეული.

დედის მოვალეობა ბავშვის სამეტყველო უნარის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდია ჩვილობის ასაკში. დაბადებიდან პირველი ორი-სამი თვის მანძილზე, ვიდრე ტვინის გარსი ჩამოყალიბების პროცესშია, ყოველმხრივ უნდა ვერიდოთ გაციებას. სხვადასხვა სახის ანთებითი ხასიათის დაავადებანი ხშირად არღვევს ცენტრალურ სამეტყველო უბნებს.

ყურადღებით უნდა ვაკვირდებოდეთ ძუძუს წოვის პროცესს. პერიფერიული სამეტყველო აპარატის სხვადასხვა უკმარობანი (განსაკუთრებით ბაგეებისა, ცხვირ-ხახისა და სასის ნაპრალები) ართულებენ ნორმალურ კვებას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მომავალში ბავშვს გაუჭირდება სწორი მეტყველების დაუფლება, რისთვისაც საჭიროა მივმართოთ ექიმ-სპეციალისტს.

მეტყველების მოშლასა და შეფერხებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვადასხვა სახის ინფექციურ დაავადებებს რა სახისაც არ უნდა იყოს ის. ზოგჯერ ინფექციურ დაავადებათა გართულებები აქვეითებენ მეტყველებისათვის ისეთ აუცილებელ ორგანოს ფუნქციას, როგორიცაა სმენა. სმენითი კონტროლის გარეშე მეტყველება ვერ განვითარდება, უფრო სწორად, ბავშვი ლაპარაკს ვერ ისწავლის. სმენის სხვადასხვა ხარისხის დაქვეითების დროს კი მის ფონზე წარმოიქმნება მეტყველების დარღვევათა შესაბამისი დონე. სმენადაქვეითებულ ბავშვთა მეტყველება ზოგჯერ იმდენად ჩამორჩება საპასპორტო ასაკს, რომ ხშირ შემთხვევაში ეჭვი ეპარებათ ინტელექტუალურ ჩამორჩენილობაზე.

ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარების პროცესში სრულიად ახალსა და ამასთან მეტად თავისებურ პერიოდს წარმოადგენს ლაპარაკის დაწყება. ამ დროს დედა თვითონ ურჩევს მარტივი არტიკულაციისა და ადვილად გასაგები შინაარსის სიტყვებს. იქმნება გარკვეული ლექსიკური მარაგი, ზოგჯერ „ალუსა" და „ატას" პირობითი სიგნალების ტიპისა. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ბავშვმა ენის ამოდგმა დააგვიანა, რაღაც მიზეზი უშლის ხელს და საჭიროა სპეციალისტის რეკომენდაციები. თუ ბავშვს მეტყველების განვითარებაში ხელი არაფერმა შეუშალა ორი წლის ასაკში უნდა იყენებდეს სამეტყველო ბგერათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ისიც რამდენიმე რთული არტიკულაციის ბგერათა გამოკლებით, ან მათი სუსტი დიფერენცირებით. მეტყველების ნაკლის თითქმის ყველა სახეობა ძირითადად თავს იჩენს ხოლმე სამი-ოთხი წლის ასაკში. რა სახისაც არ უნდა იყოს დეფექტი, ნუ ვენდობით მხოლოდ საკუთარ შეხედულებებსა და ზემოქმედების საიმედობას. მეტყველების გაუარესებათა ხშირი შემთხვევები გვაქვს სწორედ მშობელთა არასწორი დამოკიდებულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგად. ყოველგვარი ძალდატანება, გაკიცხვა, დაშინება და სხვა მატრამვირებელი ზეგავლენა კიდევ უფრო აუარესებს მეტყველებას, ზოგჯერ სრულ გაჩუმებამდეც კი. როდესაც ბავშვი მორცხვობს (უცხო სამეტყველო გარემოში), არ უნდა შეურაცჰყოთ, არ უნდა ვაიძულოთ. თანდათან, მეთოდურად, წინდახედულად უნდა გადავადგმევინოთ პირველი ნაბიჯები. განსაკუთრებით მაშინ, თუ ბორძიკი (ლოგონევროზები) შევამჩნიეთ. ამგვარ შემთხვევაში აუცილებელია ნევროპათოლოგის ან ფსიქონევროლოგისა და ლოგოპედის კონსულტაციები.

ზოგიერთი მშობელი ბავშვს ზედმეტად ანებივრებს, სიყვარულს ენამოჩლექილი ალერსით გამოხატავს და ამით უხანგრძლივებს ფიზიოლოგიური ენაჩლუნგობის პერიოდს. ბავშვს სიტყვები უნდა მივაწოდოთ იმ ფორმით, რასაც მოითხოვს ლიტერატურული ქართული. არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორც დიდი ილია ამბობდა, რომ „ენა საღვთო რამ არის, საზოგადოებრივი საკუთრებაა“ და არა გვაქვს უფლება მისი სუბიექტური ხელყოფისა.

დედების მიმართ ლოგოპედიური სამსახურის მუშაკებს მათი მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის მადლიერების გრძნობასთან ერთად სასაყვედუროცა აქვთ, რადგან ბევრი მათგანი არა თუ ეხმარება აღმზრდელ-მასწავლებლებს, საერთოდ, სიახლოვესაც არ ეკარებიან. ლოგოპედიური ცოდნის პროპაგანდა ყველა ჩვენთაგანის მამულიშვილური ვალია.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად ფართოვდება ლოგოპედიურ დაწესებულებათა ქსელი როგორც განათლების, ისე ჯანმრთელობის სამინისტროების უწყებებში. გვაქვს სპეციალური სამეტყველო ბაგა-ბაღი, სპეციალური ჯგუფები ზოგადი ტიპის ბაგა-ბაღებში, სასკოლო ლოგოპედიური პუნქტები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; თანდათან ძლიერდება სპეციალური სამეტყველო სკოლა მეტყველების მძიმე დარღვევების მქონე ბავშვებისათვის. ყველა დამხმარე სკოლას აქვს ლოგოპედიური კაბინეტი. გარდა საავადმყოფოებისა. ლოგოპედები მუშაობენ ბავშვთა პილიკლინიკებშიც. ყველას, ვისაც კი ეს სჭირდება, შეუძლია მიმართოს სარეაბილიტაციო ცენტრის ლოგოპედიურ განყოფილებას.

ვისარგებლოთ თანამედროვე მედიცინისა და პედაგოგიკის მეცნიერული მიღწევებით, ხელთ ნუ ჩაუვარდებით ყალბისმქმნელებსა და მკითხავ-ექიმბაშებს, ისინი სახელს უტეხენ და ამცირებენ ლოგოპედიური საქმიანობის ავტორიტეტს. შეიძლება ითქვას, მეტყველებასთან სარისკო თამაში ისევე დაუშვებელია, როგორც ცეცხლთან. დაუდევრობითა და უყურადღებობით ზოგჯერ მეტყველების იმდენად მძიმე დარღვევებს ვიღებთ, რომ აფერხებს არა მარტო ბავშვის სწავლა-განათლებას, არამედ სიცოცხლის საშიშროებაც კი იქმნება. თანდათან ყალიბდება ხოლმე აუტისტურ-ნეგატივისტური ხასიათის ფსიქოლოგიური და ფსიქოპათოლოგიური გადახრები, მოზრდილობის წლებში კი ზოგჯერ ბავშვს უჩნდება სუიციდიალური აზრებიც კი.

ბავშვის აკადემიური წარმატება სკოლაში მეტყველების (და მაშასადამე აზროვნების) შესაძლებლობაზეა დამოკიდებული, ზოგჯერ ერთი შეხედვით „კოსმეტიკური ხასიათის“ ნაკლიც კი, მაგალითად, ფონეტიკური წყობის განუვითარებლობა, რომელსაც მშობლები ზოგჯერ არაფრად მიიჩნევენ, საფუძვლად უდევს სწავლაში ბავშვის ჩამორჩენას.

როდესაც დაისმება კითხვა: რატომ ვერ სწავლობს ბავშვი? საფუძვლიანად გამოიკვლიეთ მეტყველება და ის გეტყვით ყველაფერს, რადგან როგორც დიდი ილია ამბობს, **მეტყველება აზრის „ღებ-მიცემობის საშუალებაა“.**

ს. შაიშმელაშვილი,
**მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ლოგოპედიური ცენტრის გამგე.**

# უზბეკეთის მიწაზე

ზამთარია. მაგრამ მაინც
სახეს გრძნებით მიწვავს მზე;
დავაბიჯებ კოლხი ქალი
უზბეკეთის მიწაზე!
დამაქვს ვეფხის ტყაოსანი,
მზის შუქ ნაელვარები.
მიღიმიან, მიცქერიან
მოჭუტული თვალებით
და გულები ფიანდაზად
უნდათ გადამიფინონ,
სურთ, ყვავილთა ფრთებში ჩამსვან,
რომ მათ სულში ვიფრინო;
რომ ქვეყანას მოვაფრქვიო
სურნელება ქართლისა,
სადაც ხატად აღმართულა
წმინდა სვეტი ნათლისა;
ვუთხრა, დედა რატომა გვწამს
თასითა და მახვილით,
ალაზანზე როგორ ისმის
ვაჟას გადმოძახილი,
აჭარაში როგორ ხარობს
ნანინა და ვენახი,
აფხაზეთში ახალ ათონს
,,ახალს‘‘ რატომ ვეძახით...
რომ გელათის თბილ სუნთქვაში
თამარ მეფის გული ძგერს,
რომ კრწანისთან, ყაყაჩოთა
ცეცხლში შეხვეული წევს.
არაგველი სამასი და,
ცხრა ძმა ხერხეულიძე;
ვთქვა: — უმზეოდ, უმეგობროდ,
არსად არ დადიანო,
ერთი მზე გვაქვს, ერთი მიწა —
ფრთხილად, ადამიანო!...

მზია შეწირული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერიკაცი ვარ...



საზრუნავი ჰქონდათ, მე ვინ ჩამამიჯდებოდა კერასთან... ავდექი და აქეთ გამოვწიე, რა დაგიმალოთ, მცირე იმედით კი. ვიცოდი, დიდხანს აქ ვერ გავჩერდებოდი — დამიძახებდა ჩემი ვაზი, ჩემი კახეთი. განგება იყო, თუ რაა... აქ არ დამხვდა ეს დალოცვილი? უპატრონობით გაქსუებულიყო, შამბს და შალაფას ზედ გადაევლო, თურმე გაკაფვასაც უპირებდნენ, მომვლელი რომ არავინ ჩანდა. ბაღიც გატყიურებული იყო. გაუსხლავ-გაუკაფავი. თავიდან შალვა მანძულაშვილმა, ილია ნატროშვილმა და მე მოვკიდეთ ხელი აქაურობის რჯულზე მოყვანას. ვაზი იქნება თუ ხეხილი, შვილო, ბაღლივითაა — არ მოუვლი და არ გაიზრდება.

ვანო კაკაშვილი, პანსიონატის დირექტორი: — აბა გახედეთ ამ ვენახებს — შიგ კენჭი რომ კენჭია, იმასაც ვერ იპოვით. ბარიც ნაკმარი აქვს და თოხიც, მაგრამ ძია ლევანს (85 წლისა გახლავთ), შინ რა გააჩერებს. ერთხელაც იყო, რაღაც მოიმიზეზა, სამი დღით კახეთში გაიქცა, მაგრამ მეორე დღესვე თავი დაგვიკრა, ვენახის დარდმა არ დამაყენაო. ხანდისხან მხარში ამოვუდგები ხოლმე, მაგრამ ამ საქმიდან თავის შერცხვენის მეტი არაფერი გამომდის. ამ დროულ კაცს ვერც ბარში მივდევ, ვერც თოხში. გაჩერდება ხოლმე ძია ლევანი, მომიბრუნდება, დაეყრდნობა თოხის ტარს და ასე იტყვის: ხედავ, რა არის ეს დალოცვილი მიწა, მე მამდევს, შენ კი გეურჩებაო.

— რათა მეთქი, ძია ლევან?

— რათა და იმათა, რო ჯერ ერთი მოხუცის პატრონობა თქვი, ახლა სამოცდაათისა. წადიო, შვილოსა, შენს საქმეს მიხედეო. აქ კიდე, აქ მე ვიცი და ლევანამაო...

ვაზსა და ვაზს შორის სამიოდე ძირი ყაყაჩო ჩაღობს. ისეთი ბრუალი გაუდით, თვალი ზედ მრჩება.

— ეგ ყაყაჩოები ჩვენი ლიას ხათრით დავტოვე. თან ხატავს, თან ლექსებსა წერს, თან ისე უყვარს ეს ბალახ-ბულახი, მაჩიტელა რო მაჩიტელაა, იმასაც კი დაკოცნის ხოლმე.

ლია სვანიძის ოთახი. ფერები. პორტრეტები. ნატურმორტები. ჟანრული სცენები. ფერის ერთ ტონალობას ვერ დაიჭერ, რადგან მისთვის ყველა ფერი მისაღებია, როგორც თავად ბუნებისათვის. მაინც უფრო მუქი ლურჯი, უფრო შავი და მქრქალი ცის ფერი. კედლიდან რამდენი სახეც გადმომცქერის, იმდენი ბედია. და თითქმის ყველგან — სულიდან გადმონათებული სიმშვენიერის მიღმა — იმედთა ცვენა... მონასმი ზოგჯერ მძაფრი, ზოგჯერ ნაზი და სიფრიფანა, ზოგჯერ კი ატაცებული... ბედისწერასავით, და მაინც ეს არის შორეული, ზღაპრული სამყარო. ეს ცხოვრებაა დღეს — მინავლული მოგონებებით დახუნძლული და ხვალეთი ოდნავ შემკრთალი. ერთი პორტრეტის დეტალი: ოდნავ შემჭკნარი მჩნდვრის ყვავილები მაგიდაზე ჩამოცვენილა, — ლარნაკში კი ისევ ზვაობენ უფრო გამძლენი. რაღა თქმა უნდა, ხვალ თუ ზეგ მათაც ეს დღე მოელის, რადგან სიცოცხლეც და სილამაზეც წარმავალია. და აი, მგონი მივაგენ კიდეც იმ სათავეს, საიდანაც ამ სახეთა სევდა დაიძვრის...

ლევან მთვარელიშვილი, სოციალისტური შრომის გმირი:

— სიბერე ისეთი აქლემია, შვილო, ყველას კართან რომ დაიჩოქებს. რა დღე აღარ გამომივლია, ობლობა ვთქვა, ომის ცეცხლი და ვარამი თუ დაქცეული ქვეყნის შენება. დღესა და ღამეს შრომაში ვასწორებდი, ვაზის ძირში ვათენებდი და ვაღამებდი. კარსმომდგარ ყველა ჯურის საჭირვებელსაც ვუძლებდი, ვუმკლავდებოდი და ვჯაბნიდი კიდეც. აკი დიდ ილიას უთქვამს: წუთისოფელს არ უნდა დაეგდებინო, თორემ ისე გათელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო. ყველა გასაჭირში ეს დალოცვილი სიტყვები მაგონდებოდა და ფარ-ხმალიანი კაცის სახელიც იმისთვის მერქვა, აი, ცოლი რომ მომიკვდა და შინ მარტოდ დავრჩი, მაშინ კი დამიგდო სიმარტოვემ. რა ძნელი ყოფილა ეგ ტიალი, კაცი კინაღამ ჭკუას გადავევე. სიზმარი რომ ცხადში ამერია და ხალხს ერთი-ორჯერ სიზმრად ნახულზე გამოვედავე, ძლივსლა ჩავვარდი გულისხმაში: ლევან მეთქი, ფინთად არი შენი საქმე, ბიჭო! შვილებს და შვილიშვილებს თავთავისი





ლია სვანიძე

ქალბატონი ლია: — ჩვენი პანსიონატის მთავარი ღირსება ისაა, რომ აქ ყველას შეუძლია აკეთოს თავისი საყვარელი საქმე — ამისთვის დროც გვაქვს და პირობებიც.

აქ პიანისტიც კარგადა გრძნობს თავს, ლიტერატორიც, მსახიობიც, მებაღეც და მხატვარიც. ერთი მეტად ღირსეული კაცი უნდა გაგაცნოთ, თბილისის მთავარი დეკორატორი ვახლდათ, ბატონი ირაკლი ხმალაძე. იმასაც ნახავთ, რა სასწაულებს, ახდენს აქ: ბუჩქების ფერხული, გრძელი დეკორატული პანო, ჩვენი პალმებით და დეკორატული მცენარეებით მორთული დერეფნები — და ბაღი ყველგან, შინ, გარეთ, სარკმელზე, პალმის კასრებში და თქვენ წარმოიდგინეთ, ვიწროყელიან მინის ბოცებშიც კი, კაცი კი არა, ჯადოქარია!

ირაკლი ხმალაძე: — მსოფლიოს ყველა დროის რიგიანი დეკორატორი, სადაც იწყებდა თავის კარიერას, იქ ასრულებდა. ჩემს შრომის წიგნაკში კი, ჩემდასამარცხვინოდ, სამი წინადადება სწერია. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ჯერ გახსნილი არ იყო, როცა წინანდლის პარკში გამაგზავნეს ერთი წლით. ოდესღაც იშვიათი პარკი, მზრუნველ ხელს მოკლებული, ცუდ დღეში დამხვდა. საქმეს მოვეჭიდე და ერთი წლის მაგიერ ოცდაორ წელს დავრჩი. იქ არც აგარაკი ამიშენებია, არც ვოლგა შემიძენია — ოცდაორი წლის სიცოცხლე და სამი წიგნი მივუძღვენი წინანდალს. შემდეგ თბილისის მთავარ დეკორატორად ვმუშაობდი. ხის მოჭრას კი არა, ფოთლის ურიგოდ შეცვლას ვერავის ვაპატიებდი.

დირექტორი: — აქაც მაგ დღეში არა გვყავართ? აი, ეს ერთი პალმა შემოვიტანე კაბინეტში და სანამ არ დარწმუნდა, რომ კარგად ვუვლიდი, ყოველდღე მაკონტროლებდა.

ბატონი ირაკლი: — ასეა და ასეც უნდა იყოს. იცით თქვენ, რომ ქალაქ დნეპროპეტროვსკში საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავები სულზე ოცდახუთი კვ. მეტრი მოდის (რის გამოც ამ ქალაქმა იუნესკოს პრიზი დაიმსახურა). ეს ჩრდილოეთში, ცივ ქვეყანაში. ჩვენთან კი, თბილისში, მზის, ვაზისა და ვარდების მხარეში ერთ სულ მოსახლეზე 3,5 მეტრი მწვანე ფართობია, საგანგაშოც არის და მეტიც, სიმართლეს სად გაექცევი?

მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია რომ დაიწყო და შენობები აიღეს, ვთქვი, ახლა კი ეშველა მეთქი ამ მხარეს, აქ ბაღი კი არა, ერთი სკვერიც დიდი მადლი იქნებოდა. თუ მკითხავს კაცი, დღეს საქართველოს წინაშე მრავალშვილიანობისა და მრავალნარგავიანობის პრობლემა ერთნაირი სიმწვავითა დგას.

მახსენდება რაღაც შორეული სურნელი ღამის იისა, შაშვისპირასი, ფერად-ფერადი თამბაქოსი... პუშკინის სკვერი, კომუნარების ბაღი, კიროვის პარკი — ჩემი ბავშვობის სანატრელი წალკოტები. და ყველაფერი ეს მაშინ იყო... ბატონ ირაკლის დროს. ახლა პუშკინის სკვერს სკვერი აღარც ეთქმის, კომუნარების ბაღსა და გამარჯვების პარკშიც ისე ცოტაა ყვავილები და ისე გამეჩხერებულან დეკორატული ღობეები, თითქოს პატრონს მიეტოვებინოს და სადღაც სხვაგან გადაბარგებულიყოს.

„როგორც მუსიკაში აღწევენ ხმების ჰარმონიას, ისე ბაღშიც მივაღწევთ მას ყვავილების ფორმისა და ფერის მოხდენილი შეხამებით. ტოტების არქიტექტონიკა, მათი დინამიკა, აგრეთვე ნაყოფის სიხშირე და დეკორატული ღირსება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეეფერებოდეს გასაფორმებელ სივრცეს“, — წერს ბატონი ირაკლი, თოთხმეტი წიგნის ავტორი, 82 წლის კაცი. ენა როგორ მომიტრიალდება ვთქვა მოხუცი მეთქი, ის თავის წლებზე ორჯერ უფრო ახალგაზრდაა. დახვეწილი გემოვნების კაცს მეტყველებაც დახვეწილი აქვს, შეფარული იუმორითა და კეთილგანწყობით შეზავებული.

ახლა ვისაც ვერ შევხვდი: საბჭოთა კავშირის გმირი, ვახტანგ ხიტალიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ილია მაისურაძე — აქაური ლიტერატურული ცხოვრების სული და გული, თამარ ჭოხონელიძე — ქალი მოლექსე, მოსიმღერე, შოთას ლექსზე უზომოდ შეყვარებული. კაცი, ვისაც ყველაფერი ემარჯვება, აქ ოქროხელას რომ ეძახიან, სულთანიშვილი, რევოლუციონერი პელაგია მგალობლიშვილი, ცნობილი პიანისტი მარგარიტა რუდენკო.

სამამულო ომის ვეტერანმა, ექიმმა ფედოსია ებრალიძემ ჩემს შეკითხვაზე ხომ არაფერი გჭირდებათმეთქი, ასე მიპასუხა: — რა უნდა მიჭირდეს, ნენა, ბაღნებივით გვივლის და გვეფერება ჩვენი დირექტორი, მთავარი ექიმი და რა ვიცი, მთელი პერსონალიო. მადლობა გადაეცით, ნენა, პარტიას, მთავრობას, მათი ზრუნვაა, რომ სიცოცხლეს გვიხალისებს.

მართალი გახლავთ ომის ვეტერანი ქალი. მათთვის სახლი კი არა, ნამდვილი სასახლე ააგო მთავრობამ. ფართო დერეფნებით, გემოვნებით შემკობილი ინტერიერით, დარბაზებით, და რაც მთავარია, თითოეული მობინადრისთვის ცალკე გამოყოფილი კეთილმოწყობილი ერთოთახიანი ბინით, მზით სავსე აივნებით, ხუთ ჰექტარზე გაშენებულ სამაისო ბაღ-ვენახს რომ გადაჰყურებს. სასადილო — ვრცელი, მზიანი, ორიგინალური ჭაღებით დამშვენებული. თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდებზე — თეთრი იასამნის დიდი თაიგულები, ასკილის ნაყენი სურებში, სუფთა ხელსახოცები.

კიდევ ერთ მომცრო ოთახს მიჩვენებენ — იგი სამედიცინო სიგნალიზაციით არის აღჭურვილი. პანსიონატის ბინადარს თავისი ოთახიდან შეუძლია დაუკავშირდეს ღამის მორიგე მედდას და შეატყობინოს თავისი გასაჭირი. მთლიანად სამკურნალო კომპლექსი მაღალტექნიკურ დონეზეა მოწყობილი. მედიკამენტებით მას ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე მთავარი ს.



ირაკლი ხმალაძე



18 537
საქ. სსრ კ. მარქსის

თველოს აფთიაქი ამარაგებს. ამავე საქართველოს პოლიკლინიკაში ავადმყოფები ყოველწლიურად გადიან დისპანსერიზაციას, მათ მაღალკვალიფიციური, საქვეყნოდ ცნობილი კონსულტანტები ადგილზე სინჯავენ. კიდევ ერთი სიკეთე: პანსიონატის მკვიდრთ სპეციალური ატელიე ემსახურება. ტანსაცმელს ადგილზე აზომებენ და გამზადებულიც მოაქვთ, თანაც პენსიონერთა უბრალო შენიშვნასაც კი ითვალისწინებენ.

ახლა ორიოდე სიტყვა პანსიონატის დირექტორზე, ივანე კაკაშვილზე: პროფესიით ექიმი გახლავთ (გადამდგარი პოლკოვნიკი). სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა თუ არა, სამამულო ომის გზებით იარა ყირიმიდან კენიგსბერგამდე. ქირურგიც გახლდათ, თერაპევტიც. ჯავშნიანი მატარებლების დივიზიონის უფროსი ექიმი, ავიაციის პოლკის მთავარი ექიმი, საზღვაო ავიაციის ჰოსპიტლის უფროსი. მისთვის ომი 1947 წელს დამთავრდა — ალბათ სამშობლოსათვის ასე იყო საჭირო...

ყველანი პირველ რიგში დირექტორთან მიდიან — თავიანთი ტკივილით, წუხილით, რჩევითა და ზოგჯერ მკაცრი მოთხოვნით. ბატონ ვანოს ისეთი კეთილი ღიმილი, ისეთი დროული სიტყვის და მოქმედების უნარი აქვს, როგორიც მხოლოდ ექიმს და ისეც მრავლისმნახველს, დაფიქრებულ და ტაქტიან ადამიანს სჩვევია, ნატკენ გულს რომ დაურვება და მოფერება უნდა, ეს ბატონ ვანოზე უკეთ აბა ვინ იცის!

— ამ კინოგაქირავების კანტორას ვერაფერი მოვუხერხეთ. ჩემი ხალხი ისტორიულ ფილმებს მთხოვს, ისინი კი, რაც ხელთ მოხვდებათ, იმას მოგვაყენებენ კარს. პროფკავშირების კოლექტივები კი საკმაოდ მაღალი დონის კონცერტებს გვიმართავენ. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

— ბოლოხანს თუ რამ მოხდა თქვენთან ისეთი, რომ თქვენი მკვიდრთა გულები სიხარულით აევსოს? ნამდვილ სიხარულზე მოგახსენებთ.

— როგორ არა, რევაზ ინანიშვილთან გულთბილი, ნამდვილი მეგობრული შეხვედრა მოეწყო. აღარ ივიწყებენ ამ მეტად საინტერესო საღამოს.

უკანგამობრუნებული ვფიქრობ: პანსიონატში, ყველაფერი ისე აქვთ მოგვარებული, უკეთესს რომ ვერ წარმოიდგენ, მაგრამ ზოგის თვალში ჩამდგარი სევდა მარტო მოხუცებულობის სევდა როდია. რაღაც ატკინეს, სადღაც ხელი დააკლეს, ვიდრე აქ მოვიდოდნენ და რა მათი ბრალია, თუ მაინც თვალები გზისკენ გაურბით...

რა კარგი იქნება, რომ ჩვენი მწერლები, მსახიობები, მხატვრები აქ ხშირად შემოივლიდნენ. მოვიდნენ შინაურულად, უზარ-ზეიმოდ და უხმაუროდ, ისე, როგორც ახლობლებთან, ძველ ნაცნობებთან მიდიან ხოლმე. დიახამც, ეს ნატკენი გულები მათ მოგვრილ სითბოს ისე მიეფიცხება, როგორც აგერ, ის თეთრი ვარდები მიფიცხებია ამ დალოცვილი ზაფხულის მზეს.



ბერი პაპუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმის რჩევა

# კვერცხის გულის გამოყენება ჩვილ ბავშვთა კვებაში

ცნობილია, რომ კვერცხის გული თავისი მდიდარი შემადგენლობით, აუცილებელია მზარდი ორგანიზმისათვის. მას ბავშვთა კვებაში 3-4 თვის ასაკიდან იყენებდნენ; დღეისათვის დადგენილია, რომ ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს კვერცხის გული უნდა მიეცეთ უფრო ადრეულ ასაკშიც, ვინაიდან მასში შემავალი ნივთიერებები — ლეციტინი და ქოლესტერინი აქტიურად მონაწილეობენ ყველა უჯრედის შენებაში, ხელს უწყობენ ორგანიზმის დამცველი ძალების გაძლიერებას და შხამების დაქვეითებას, გარდა ამისა, ააქტივებენ „დ“ ვიტამინს, რაც საუკეთესო საშუალებაა რაქიტის პროფილაქტიკისათვის. კვერცხის გული შეიცავს აგრეთვე სრულფასოვან ცილებს, უჯერ ცხიმოვან მჟავეებს, საჭირო ვიტამინებს და მინერალურ მარილებს (განსაკუთრებით რკინის მარილებს). ყველა ეს ნივთიერებები კი აუცილებელია ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვებისათვის.

ბავშვის ექსუდაციური დიათეზით დაავადების შემთხვევაშიც კი კვერცხის გული არ არის მაწყინარი, მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ მისი დღიური დოზა ბავშვს ერთ ჯერზე კი არ უნდა მივცეთ, არამედ რამდენჯერმე, რათა ორგანიზმი უკეთ შეეჩვიოს, ხოლო ასაკობრივი დოზის რაოდენობა ვზარდოთ თითო კვირის ინტერვალით, კანზე შედარებით ნაკლებად გამოხატული გაღიზიანების ან გამონაყარის უკუგანვითარების ფონზე.

ამგვარად, ბავშვი ერთი თვიდან უნდა შევაჩვიოთ კვერცხის გულის მიღებას აღმავალი დოზებით: 1 თვის ბავშვს უნდა მიეცეს დღეში 2 გრამი ანუ 1/8 კვერცხის გული. (1/16 — 2-ჯერ დღეში); 2 თვის ბავშვს უნდა მიეცეს დღეში 3 გრამი ანუ 1/6 კვერცხის გული. (1/16 — 3-ჯერ დღეში); 3 თვის ბავშვს 4 გრამი ანუ 1/4 კვერცხის გული (1/8 დღეში 2-ჯერ); 4 თვის — ბავშვს 5,0-5,5 გრამი ანუ 1/3 კვერცხის გული (1/8 — დღეში 3-ჯერ). 5 თვიდან ბავშვის ყოველდღიური ნორმაა ნახევარი კვერცხის გული.

ეს დოზები სრულიად საკმარისია რაქიტის პროფილაქტიკისათვისაც, სამკურნალოდ კი უნდა გამოვიყენოთ 30-40 დღის განმავლობაში, ზემოთ აღნიშნული დღიური დოზების გაორკეცებით, ხოლო მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე უნდა დავუბრუნდეთ ასაკობრივ დოზებს.

ჩვილი ბავშვების საკვებად გამოყენებული უნდა იყოს მაგრად მოხარშული ახალი, დიეტური კვერცხი, რომელიც წყლის ადუღებიდან 15-20 წუთი უნდა ვხარშოთ. მოხარშული, გაციებული კვერცხიდან უნდა გამოცალკევდეს გული, გამოიყოს მისი საჭირო დოზა და შეესრისოს ბავშვის საკვებს (ერთი კვერცხის გული საშუალოდ 14-16 გრამს იწონის).

მოხარშული კვერცხის გულის უპირატესობა უმთან შედარებით შემდეგია:

1. ხარშვის შედეგად კვერცხის გულში ტემპერატურა აღწევს 90°C და სპობს დაავადებელ მიკროორგანიზმებს. სალმონელებსა და ვირუსებს, რომლებიც ჩვეულებრივ მდგომარეობაში ადვილად შეღწევადია ნაჭუჭში. უმი კვერცხის გული კი თავის მხრივ ნიადაგს ქმნის მათი გამრავლებისათვის.

2. მოხარშვა ამცირებს ალერგიული მოვლენების განვითარების საშიშროებას (უმი კვერცხის მიღების დროს სისხლში გადადის ცილის არასაბოლოო დაშლის პროდუქტები, ვინაიდან უმი ცილა გაღწევადია ნაწლავის კედელში და მოქმედებს ორგანიზმზე როგორც უცხო ცილა. მოხარშული ცილა კი ნაწლავის კედელში გაუღწევადია და ამით ალერგიზაციის საშიშროება გამორიცხულია.

3. უმი კვერცხის მიღების შემდეგ ორგანიზმში იქმნება ავიდინ-ბიოტინოს კომპლექსი. ამ დროს ეს მეტად სასარგებლო ვიტამინი შებოჭილია და ვერ ავლენს სასურველ შედეგებს, რის გამოც კანზე ვლინდება სხვადასხვა მოვლენები — დერმატოალერგოზების სახით. მოხარშვის შედეგად კი ცილა-ავიდინი იშლება და ასეთ მდგომარეობაში ველარ ბოჭავს ბიოტინს, დადებითად მოქმედებს და კანზე არავითარი რეაქცია არ აღინიშნება.

4. ხარშვის შედეგად ძალზე უმნიშვნელოდ იცვლება კვერცხის გულის ქიმიური შემადგენლობა. განსაკუთრებით ეს ეხება ვიტამინებს, ვინაიდან კვერცხის გულში არის ძირითადად ცხიმში ხსნადი ვიტამინები, რომლებიც კარგად უძლებენ თერმულ დამუშავებას.

5. მოხარშული კვერცხის გულს ადვილად ითვისებს და ინელებს ორგანიზმი.

ე. ბერი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.
ნ. ფრუიძე,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრა ხვალინდელ დღესთან

ჩვენ დღეს მაია ჩიბურდანიძეც გვყავს და ნონა გაფრინდაშვილიც, მაგრამ გვაფიქრებს საჭადრაკო ცვლის მომავალი თაობის საკითხი. ვინ დაწინაურდება ხვალ, ან საერთოდ, თუ შეიძლება ესოდენ აღიარებული კორიფეების შეცვლა?!

წელიწადი ისე არ გავა, მოსწავლეთა რამდენიმე რესპუბლიკური შეჯიბრების მსაჯობა რომ არ მომიხდეს. ეს შეჯიბრებები სხვადასხვანაირია. ზოგი ე. წ. შვეიცარული სისტემით ტარდება, სადაც რამდენიმე ასეული ბავშვი მონაწილეობს, ზოგში კი მონაწილეთა რიცხვი მკვეთრად განსაზღვრულია. ორივე ტიპის ტურნირები ფრიად სასარგებლოა. კარგია, როცა დიდი არჩევანი გაქვს, ისიც ფრიად საჭიროა, უკვე რჩეულნი შეახვედრო ერთმანეთს. რახან ამჯერად მოჭადრაკე გოგონებზე ვსაუბრობ, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მათ თამაშს ქალთა რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზობებზეც ვადევნებ თვალს, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა ჩვენი გოგონები ოსტატ ვაჟებს ეპაექრებიან.

მაშ ასე, დღეს ზოგიერთ ნიჭიერ გოგონაზე ვილაპარაკოთ, ნაწილს ჩვენი გულშემატკივრები კარგად იცნობენ, ზოგსაც ჩვენ გავაცნობთ.

სამტრედიელ სოფიკო ტერელაძეზე საკავშირო თუ რესპუბლიკურ პრესაში ბევრი დაწერილა. რამდენიმე წლის წინ დიდოსტატმა დავით ბრონშტეინმა აღნიშნა სოფიკოს საოცარი ნიჭიერება. ნეტავ გაყურებინათ როგორ ბრწყინვალედ თამაშობს სოფიკო „ბლიცს", როცა მოჭადრაკეს მთელი პარტიისათვის სულ 5 წუთის ფიქრის ნება ეძლევა. ასეთ პარტიებში გოგონათა დიდოსტატებსა და ცნობილ ოსტატებსაც კი უმკლავდება. იგი ელვის სისწრაფით აფასებს დაფაზე წარმოქმნილ რთულ სიტუაციას, ელვის სისწრაფით ილებს გადაწყვეტილებებს, კომბინაციური დარტყმა იშვიათად გამორჩება. ვფიქრობ, იმასაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რომ სოფიკო მრავალმხრივ ნიჭიერია. მან ზეპირად იცის ქართველი და რუსი პოეტების უამრავი ლექსი, რომელთაც კარგად, გემოვნებით კითხულობს. უყვარს მუსიკა, სკოლაში ფრიადებზე სწავლობს, (თუმცა ბევრი გაკვეთილის გაცდენაც უხდება). ზოგჯერ გამოთქვამენ ხოლმე აზრს, რომ მრავალმხრივი ნიჭი მოჭადრაკეს... ხელს უშლის! ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვიზიარებთ ამ შეხედულებას. ცნობილმა ავსტრიელმა მწერალმა შტეფან ცვაიგმა თავის „საჭადრაკო ნოველაში" უარყოფითად დაახასიათა დიდოსტატი ჩენტოვიჩი (მისი რეალური პროტოტიპი ცნობილი იუგოსლაველი მოჭადრაკე ბორა კოსტიჩი იყო), რომელმაც ჭადრაკის მეტი არაფერი იცის, არაფერი აინტერესებს. ცხადია, ჩვენ ჩენტოვიჩები არ გვჭირდება, ჭადრაკი ხომ იმითაც არის კარგი, რომ ადამიანის ნებისყოფას აწრთობს, დისციპლინას აჩვევს, აძლევს მას სხვადასხვა სიძნელის დაძლევის შესაძლებლობას. 14 წლის სოფიკო ტერელაძეს უკვე აქვს გარკვეული საჭადრაკო ერუდიცია და ასაკისათვის შესაფერისი გამოცდილება. ჩვენ ძალზე ოპტიმისტურად ვუყურებთ მის საჭადრაკო მომავალს. წლეულს ცხინვალში გუნდურ შეჯიბრებაში სოფიკო ვაუთა დაფაზე თამაშობდა. აქ მან შეძლო თბილისის გუნდის ლიდერის, უკვე საკმაოდ კარგად ცნობილ ოსტატ გია გიორგაძის დამარცხება. მაისში მან ბრწყინვალედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა ქალთა შორის.

ლამარა ჩიბურდანიძე მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის უფროსი და გახლავთ. ჩვენ მასთან არაერთხელ გვისაუბრია და ვიცით, რაოდენი ამაგი დასდო მან მაიას. მწვრთნელებთან პატარა გოგონას სწორედ ლამარა ატარებდა. კარგად იცის ქუთაისელი მწვრთნელების ავ-კარგი, მათი მიდრეკილებები. გავიდა ხანი, მაია განთქმული დიდოსტატი გახდა, ადრინდელი გამოცდილება კი ლამარას ძალიან გამოადგა უკვე საკუთარი შვილის სოფიკო ნიკოლაძის აღსაზრდელად. ისტორია თითქმის განმეორდა. ისევ ის ქუთაისელი მწვრთნელები, პირობებით მაინცდამაინც რომ არ არიან განებივრებულნი, ისევ მოგზაურობა და მოგზაურობა, ტურნირები საქართველოში, რუსეთის სხვადასხვა ქალაქში... სოფიკო ნიკოლაძე ხან თვით თამაშობს, ხან თავის სახელგანთქმული დეიდის შეჯიბრებებს ესწრება. ახლა იგი საქართველოს ჩემპიონია მოსწავლეთა შორის, წარმატებით მონაწილეობს საკავშირო ტურნირებში, ერთი სიტყვით, დიდ იმედებს იძლევა.

წლეულს აპრილში, ბათუმში, მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირად ჩემპიონატში ლამარა ჩიბურდანიძემ უკვე თავისი შუათანა და უმცროსი გოგონები ჩამოიყვანა — ნინო და მაია ნიკოლაძეები. კვიცი გვარზე ხტისო! ნინოც და მაიაც უკვე საკმაოდ კარგად თამაშობენ, რაც მთავარია, ძლიერ უყვართ ჭადრაკი და სიამოვნებით ვარჯიშობენ. უმცროსი წაგების შემდეგ ტირის, შუათანა — თავს იკავებს. ჩვენ ტირილი არ გვიკვირს, არაერთხელ შევსწრებივართ, როცა წაგების შემდეგ უკვე ასაკოვანი დიდოსტატებიც კი მოთქმით ტიროდნენ.

წლეულს იანვარში, ბათუმში, მოსწავლეთა რესპუბლიკურ გუნდურ პირველობაზე ნატანებელი მაია თავაძე გავიცანით, რომელიც მაშინ შვიდი წლისაც კი არ იყო. ჩვენ გვითხრეს რომ იგი ოთხი წლიდან თამაშობს ჭადრაკს და ძალიან უყვარს. მაიამ წერა-კითხვა კი იცის, მაგრამ საჭადრაკო ანბანს (ნოტაციას) ჯერ ვერ ფლობს. ამიტომ პარტიას დამოუკიდებლად ვერ გაეცნობა. მშობლები გარკვეულ დღეებში მას მახარაძეში დაატარებენ, სადაც ოსტატი მზია წერეთელი ცხოვრობს. ბათუმში ჩვენ არაერთი პრობლემის წინაშე დავდექით. ჯერ ერთი, მაია პატარაა, დაფას ვერ სწვდება, ამიტომ ხშირად სკამზე უნდა დადგეს. ადრე იგი შეჩვეული ყოფილა მშობლების დასწრებით თამაშს, რასაც ცხადია, გადავაჩვიეთ. ჩვენი არაერთი ცდის მიუხედავად ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ იმას, რომ მაიამ პარტიის დროს ცოტაოდენი მაინც იფიქროს, იგი მეტოქის სვლაზე მყისვე უპასუხებს ხოლმე. მაია თავაძე, ცხადია, მალე შეეჩვევა საჭადრაკო საათს, მეტოქის ჩანაფიქრის გამოცნობას, ნოტაციასაც ისწავლის და თეორიასაც. მთავარი ეს არ გახლავთ, მთავრი სხვა რამეა. ნატანებელი გოგონა მეტად გონებამახვილია ჭადრაკში. მან მხოლოდ შეტევა იცის, მეტოქის მეფის დატყვევებას ცდილობს და მატერიალურ დანაკარგს არ დაგიდევთ. ასეთი ასაკის გოგონას დატვირთვა, ცხადია, მიზანშეწონილი არ არის. იგი ახლა თანდათან უნდა მივაჩვიოთ შეჯიბრებებს, სათანადო დოზით ვამეცადინოთ, შედეგები კი მერე მოვა. ჩვენ მაია იანვარშიც ვნახეთ და აპრილშიც. ის, რომ მან აპრილში 9 შესაძლებლიდან უკვე 4,5 ქულა მოაგროვა, უკვე წინსვლის მაჩვენებელი იყო. ერთი თავისებურება — წაგების შემდეგ მაია თავაძე არ ტირის, იგი მეტოქეს ულოცავს და ესაუბრება კიდეც მას. ძალზე სასიამოვნოა, რომ მას ახსოვს ნათამაშები პარტიები. თუ თხოვთ, შეუძლია გიჩვენოთ კიდეც.

საყურადღებოა, რომ თუ იანვარში მაია თავაძე შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო, აპრილში მან „დათმო" ეს „წოდება". ახლა ჩვენ უკვე ექვსი წლის ქუთაისელ სოფიკო ტყეშელაშვილს გავეცანით, ჭკვიან და დინჯ გოგონას. შემდგომში ცხადია, მაიასთანაც და სოფიკოსთანაც ბევრი სასიამოვნო და საინტერესო შეხვედრა გველის.

გივი გამრეკელი

# ჩაშლილი ქორწილი



ჩანახატი

მზიანი დღე იდგა. ქორწინების სახლის თაღები ზეიმურად ელვარებდა. მსუბუქი მანქანები შენობას მიუახლოვდა. ახალგაზრდები ნეფედედოფალს გარს შემოეხვივნენ. შემდეგ კიბეები ნელი ნაბიჯით ათვალეს. დარბაზში მენდელსონის საქორწინო მარშის ჰანგები იღვრებოდა.

ქორწინების სახლის დიასახლისმა ქალ-ვაჟს ბედნიერება უსურვა. დაქორწინებულთა თითებზე ბეჭდები აკიაფდა.

მექორწინეთა ახალი წყვილი გამოჩნდა. მათაც ახლობლების ჯგუფი მოჰყვებოდა.

დარბაზში მაღალი, მოხდენილი გოგონა შემოვიდა. მისი ლამაზი ცისფერი თვალები გრძელ წამწამებს დაეჩრდილა. მხრებზე ოქროსფერი თმა ჩამოშლოდა. ქალიშვილი მარტოდ მოაბიჯებდა. მექორწინეებს სევდიანი თვალი მოავლო და იქვე კედელს მიეყრდნო. იდგა გარინდებული და კაცს აფიქრებინებდა, ამ მხიარულ გარემოში ნეტავ რად ჩამოსტირის სახეო. უხმად იდგა და ბედნიერ წყვილთ სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა. ისინი თვალსაწიერიდან შორდებოდნენ, მაღლა კიბეებზე ადიოდნენ და იქ მიაბიჯებდნენ, სადაც ახალი ოჯახები ფორმდებოდა.

x x x

ერთი თვის წინათ თინათინი ოთარმა ამ თაღებიან სახლში მოიყვანა. ხელმოწერის თარიღი დაინიშნა, ეს თარიღი დღევანდელი დღე იყო. რომანი კი ასე დაიწყო:

ვაჟი ფეხდაფეხ სდევდა თინათინს, სიყვარულს ეფიცებოდა, მშობლებსაც თამამად ეწვია — საცოლედ მინდა თქვენი ქალიშვილი, უერთგულესი მეუღლე ვიქნებიო. თვალტანადმა, ენაწყლიანმა ახალგაზრდამ არ დატოვა ცუდი შთაბეჭდილება, მოვიფიქრებთო, მისცეს პასუხი. ორი სტუდენტის სიხარული და სატკივარი მშობლების მხრებს უნდა ეზიდა...

დღეები კრიალოსანივით იმარცვლებოდა. თინათინისათვის შეუმჩნეველი არ დარჩა ოთარის მერყევი ხასიათი. ამ მცირე დროის მონაკვეთში ვიღაც მესამემ დაბინდა ვაჟის გონება. მისი თითქოსდა უზენაესი ფიცი გულის მხოლოდ ერთი ამოძახილი გახდა და ძალზე სწრაფად სხვაზე გადაინაცვლა. ისევ დაიწყო სხვისი ნაფეხურების თვალთვალი, ენაწყლიანმა კვლავ გააჩაღა ახალი რომანი... ოთარმა სიტყვა გადათქვა, უნებისყოფომ ვერ გაუძლო ერთი თვის გამოცდას და დათქმულ დღეს ქორწინების სახლში ხელმოწერა ჩაშალა.

x x x

თინათინი კი ქორწინების სახლში მაინც მივიდა. მივიდა იმ დათქმულ ხელმოწერის დღეს, მაგრამ მივიდა ცალად და იდგა განმარტოებით. უცქერდა ბედნიერ წყვილებს და გული ეკუმშებოდა.

მექორწინეთა ჯგუფიდან თინათინი უცნობმა ყმაწვილმა შენიშნა. შენიშნა და მისკენ გამოემართა. წითელი მიხაკები კედელთან უხმად მდგომ ქალიშვილს გადაუწოდა. გოგონა შეკრთა მოულოდნელობით, თავდახრილმა უცნობს მადლობა გადაუხადა. ვაჟმა კი თითქოს შეიცნო ქალიშვილის ურვის მიზეზი.

მექორწინეების ახალი წყება ისევ მოდიოდა.

გოგონა იდგა დარბაზის ერთ კუთხეში და არავის ელოდა. ჩაშლილი ქორწილის გამოტირილი ჰქონდა.

გზაჯვარედინზე ვარდყვავილებით დაფარული ეტლი მოჰქროდა. ცხენების ფლოქვების რიტმული ხმა ისმოდა.

ქორწინების სახლში მოხდენილი გოგონა განმარტოებით იდგა წითელი მიხაკებით. იდგა და არავის ელოდა.

ქორწინების სახლისკენ უწყვეტ ნაკადად მოჰქროდა მსუბუქი მანქანები. ვარდყვავილებით დაფარული ეტლის კოფოზე მეეტლე ამაყად იჯდა და ახლადდაქორწინებულებს ელოდა.

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ჯარისკაცის ქვრივი

ვინ იცის, მერამდენედ გადავიკითხე რედაქციაში გამოგზავნილი ბარათი.

„ჟურნალ „საქართველოს ქალის“ თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ჩემი დედამთილი“, სადაც რძალი აქებს დედამთილს. გამიხარდა, რადგან ის ექთანი, ოლია ჩუბინიძე ჩემი თანაკურსელია, მასაც ჩემსავით მეუღლე სამამულო ომში დაეღუპა. ამ ქვეყანაზე ერთადერთი ვაჟიშვილისათვის იცხოვრა და იშრომა. დაუფასდა კიდეც ამაგი, რა თქმა უნდა, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მე დიდი ხანია მინდოდა მომემართა თქვენთვის. ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ხომ ყველა ქალის ქომაგი და გულის მესაიდუმლეა“. — იწერებოდა ჯარისკაცის ქვრივი ნინო დევიძე.

და აი, მყუდრო ოთახში ორნი ვართ. ჩემს წინ ხანშიშესული, თმაშევერცხლილი მანდილოსანი ზის. ეს ნინო დევიძეა, ადრე ენერგიით სავსე, მგზნებარე კომუნისტი, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში რომ იდგა და თავისი ცხოვრება სიძნელეებთან ჭიდილში გაატარა.

ნინომ 1938 წელს ქუთაისში საფერშლოსაბებიო სკოლა დაამთავრა. ჭიათურაში გაამწესეს, სტალინის სახელობის ოცდამეხუთე მაღაროში დანიშნეს ჯანპუნქტის ექიმის თანაშემწედ.

1940 წელს პავლე დევიძეზე დაქორწინდა. ხანმოკლე აღმოჩნდა ნინოს ბედნიერება, 1941 წელს პავლე სამშობლოს დასაცავად წავიდა. ათი თვის ვაჟიშვილით ცალად დარჩა ლამაზი ქალი.

ნინო ჭიათურის ევაკო-ჰოსპიტალში გადავიდა სამუშაოდ. დაჭრილებს უხვევდა ჭრილობებს. მერე, როცა ევაკო-ჰოსპიტალმა ლენინგრადში გადაინაცვლა, ჩვილბავშვიანი დედა ძველ სამუშაოზე დააბრუნეს. ნინო სურსათისათვის საათობით იდგა რიგში. ომის სუსხით გათოშილ ქალს სევდა ედგა თვალებში. ცხოვრება ჭირდა, მაგრამ ნათელი რწმენა ასულდგმულებდა. მიუხედავად ომის სიძნელეებისა, ცივ ნიავს არ აკარებდა შვილს.

სამ წელიწადს წერილები ავსებდა ნინოს ცხოვრებას. მოვიდოდა სამკუთხა ბარათი და... თითქოს მისი გამომგზავნი პავლე განიერი მხარბეჭით აღებდა კარს, ღიმილით შემოდიოდა შინ.

1943 წელს უკანასკნელი ბარათი მოვიდა: „ჩემო ნინიკო, როგორ შეეგუე მარტოობას, არ შეშინდე. ომი მალე დამთავრდება, ჩვენ გავიმარჯვებთ. ისევ დაგვიბრუნდება ბედნიერი დღეები. ისევ ვნახავ ჩემს პატარა სიხარულს, ჩემს ილიკოს. ვინ იცის, ჩემს მოსვლამდე ალბათ ტიტინსაც დაიწყებს და პირველი მახარობელი ის იქნება: „დედიკო, მამიკო მოვიდაო“.

ვერ გაუმართლდა პავლეს იმედი — 1943 წელს გმირულად დაეცა ქერჩში.

ილიკოს მძიმე ინფექციური დაავადება შეეყარა, მეტყველება დაკარგა ბიჭმა. ეს დედისათვის გაუნელებელი ტკივილი იყო, ტკივილი, რომლის განკურნება შეუძლებელია. ძლიერი აღმოჩნდა ნინო, სულით არ დაეცა, 1946 წელს პარტიის რიგებში შევიდა.

1952 წელს თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. თავისი ერთა ყრუ-მუნჯთა სკოლაში მიაბარა.

ჯარისკაცის ქვრივს მხარში ამოუდგნენ პარტია და მთავრობა. გოგებაშვილის ქუჩაზე მისცეს ბინა და თბილისის ოცდამეექვსე პოლიკლინიკაში ექიმის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. ნინო მუდამ ალალ ღიმილსა და თბილ სიტყვას აგებებდა ავადმყოფებს. უყვარდათ პაციენტებს, რადგან ყურადღებას არ აკლებდა მათ.

ცალად დარჩენილს უმძიმდა შვილის აღზრდა, მაგრამ ნებისყოფა იმარჯვებდა. ილიკო დავაჟკაცდა და თავის ტოლზე, ყრუ-მუნჯზე დაქორწინდა. პირველი შვილიშვილი გოჩა შემობრძანდა ოჯახში, მას — ხვიჩა მოჰყვა, შემდეგ ქალიშვილი დაიბადა. მადლიერმა რძალმა ბებიის სახელი დაარქვა გოგონას.

შვილიშვილების გაზრდა ნინომ იკისრა. მთელი ღამეები მათს საწოლთან იჯდა, დილაუთენია სამსახურში გარბოდა. არც დაღლა იცოდა, არც დასვენება. და მაინც შიში თანგავდა... ექიმების მეთვალყურეობით ზრდიდა შვილიშვილებს. გულსიმჩაწყვეტილს ერთი სული ჰქონდა, როდის დაიწყებდა ბავშვი ტიტინს. პირველად გოჩამ დაიძახა „დედა“, მერე ხვიჩამ, ნინიკო სულ ენად გაიკრიფა. ამაზე მეტი ბედნიერება ბებიას რა უნდოდა, ფრთა შეესხა, საოცარი ძალა მოემატა!

ბებიის სიტყვა შვილიშვილებისათვის კანონად იქცა. შრომაში, როგორც მშობლებს, ისე ბებიას ბაძავდნენ ბიჭები. გოჩამ სამხატვრო ტექნიკუმი დაამთავრა, ხვიჩამ კი — მეექვსე პროფსასწავლებელი და რადიოტექნიკას დაეუფლა. ნინიკო მეექვსე კლასშია და კარგ მოსწავლედ ითვლება.

გოჩა და ხვიჩა უკვე დაქორწინდნენ. ახლა ნინო სამი შვილთაშვილის ბებიაა.

ნინომ ოცდათორმეტი წელი იმუშავა თბილისის ოცდამეექვსე პოლიკლინიკაში. უანგაროდ ემსახურა ამ რაიონის მშრომელებს. ვინ მოთვლის, რამდენი გაჭირვებულისათვის უსასყიდლოდ გაუღია საკუთარი სისხლი, როგორც დონორს, რამდენისათვის გაუმართავს ხელი.

1981 წელს ნინოს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭა, ის ეხლა ომისა და შრომის ვეტერანია, პატიოსანი, მუყაითი შრომისათვის მთავრობის რამდენიმე ჯილდო აქვს მიღებული, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ნინოსათვის ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის დამყარებაა.

ოლია რ[illegible]ია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შუასაუკუნეობრივი ბნელეთის მოციქულობის წინააღმდეგ

ტანმორჩილი, ჭაღარა, სანდომიანი ქალი მკვირცხლად ავიდა ტრიბუნაზე. მას სიყვარულით, კეთილი თვალით შეხედეს ათასეულობით დემონსტრანტებმა, რომლებიც პაკისტანის ქალაქ ლახორის ერთ-ერთ მოედანზე შეგროვილიყვნენ. როცა სიწყნარე ჩამოვარდა, ქალმა ენერგიულად და რწმენით აღსავსე სიტყვებით დაიწყო: „ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ პაკისტანში გამეფებულ რელიგიურ ბნელეთისმოციქულობას. მას მოსახლეობისთვის უბედურება მოაქვს, ელემენტარულ უფლებებს ართმევს ქალებს"...

ასე დაიწყო მასობრივი მიტინგი, რომელიც პაკისტანის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში რელიგიური პრინციპების წინააღმდეგ მოეწყო, ქალთა დასაცავად გაიმართა. ის ქალი კი, ტრიბუნაზე რომ ავიდა, კიშტვარ ზელანი გახლდათ — ქალთა დაცვის ფორუმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

კიშტვარ ზელანს დღეს ყველა იცნობს პაკისტანში, მის სახელს სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქვამენ. წინათ ის პოლიტიკაში არ ერეოდა; წარმატებით დაამთავრა კოლეჯი, კარგი განათლება მიიღო, გათხოვდა, შვილებიც ეყოლა, მაგრამ ცხოვრებამ, უკანასკნელი წლების მოვლენებმა გააფართოვა მისი თვალსაწიერი, უფრო ღრმად ჩაახედა ცხოვრებაში. მას არ შეეძლო განზე გასდგომოდა ბრძოლას და მშვიდად ეცქირა ზია-ულ-ხაკის დიქტატურისგან პაკისტანელ ქალთა დამცირებისთვის.

...ექნებათ თუ არა ქალებს საარჩევნო უფლება? გამოაქვეყნებენ თუ არა მათს ფოტოსურათებს გაზეთებში? მისცემენ თუ არა ქალებს სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ნებას? ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს საკითხები სრული სერიოზულობით დადგებოდა და განიხილებოდა ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოში, კერძოდ, პაკისტანის ფედერალურ საკონსულტაციო საბჭოში. და, რაც უფრო საკვირველია, მისი დეპუტატების უმრავლესობა ხმას აძლევს შუასაუკუნეობრივი ბნელეთის მოციქულობას. მოწონებულია კანონი, რომლის ძალითაც ქალთა შევიწროვების მაგალითად ისიც გამოდგება, რომ ერთი კაცის მოწმეობა ორი ქალის მოწმეობას უდრის. ხელისუფლება კრძალავს ეროვნულ სპორტულ შეჯიბრებებში პაკისტანელ სპორტსმენ ქალთა გამოსვლას. თუმცა სპორტსმენმა ქალებმა განაცხადეს, ჩვენ თანახმა ვართ მოკლე სპორტული ფორმა გრძელი შარვლებით შევცვალოთო, ხელისუფლებამ მაინც არ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება, აკრძალვა აკრძალვად დარჩა, მკაცრი კანონი გაატარეს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ეცვათ დიქტორებს ტელეეკრანზე გამოჩენისას ან პაკისტანის ავიაკომპანიის სტიუარდესებს.

მუსულმანური ღვთისმსახურების ცნობილმა ბნელეთის მოციქულმა, პროფესორმა ა. ახმადმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ ქალები უნდა ემორჩილებოდნენ წესს, რომელიც მათ ჩადრით შებურვას ავალებს, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში სამუშაოდ ისინი არ უნდა მიიღონ, უნდა ჩამოაცილონ ქვეყნის ყოველგვარ მმართველობას.

და ეს ყველაფერი იმ სახელმწიფოში ხდება, სადაც ტრადიციულად ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ცხოვრების ყველა სფეროში. მანამდე, სანამ ბრიტანეთის ინდოეთი ორ სახელმწიფოდ იყო გაყოფილი — ინდოეთად და პაკისტანად — ისინი თავიანთი ინდოელი მეგობრების მხარდამხარ იბრძოდნენ ეროვნული განთავისუფლებისათვის. დამოუკიდებლობა რომ მიიღეს, პაკისტანელი ქალები აქტიურად ჩაებნენ ეროვნული აღმშენებლობის პროცესში. დღეს ისინი მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ აქტიური მოსახლეობისას — მუშაობენ ადმინისტრაციულ ორგანოებში და სახელმწიფო დაწესებულებებში, საფეიქრო და კვების მრეწველობის საწარმოებში, საავადმყოფოებში, ბანკებში, ავიაკომპანიებში და სხვ. სოფელ ადგილებში ქალები კაცებთან ერთად ირჯებიან მინდვრის სამუშაოებზე. პაკისტანელთა „მამამ", ორთოდოქსალურმა ისლამის რჯულის მიმდევარმა ალი მუჰამედ ჯინამაც კი თქვა: „ქალები ოჯახში ტუსაღებივით ოთხკედელშუა რომ დავამწყვდიოთ, ეს დანაშაული იქნებაო".

კოსმოსის ათვისების, ატომის საიდუმლოების გაგების საუკუნეში ვის სჭირდება საშუალოსაუკუნეობრივი ბნელეთის მოციქულობისკენ დაბრუნება? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, აუცილებელია გადავხედოთ ქვეყნის ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და იმ კურსს, რომელსაც ახორციელებს დღევანდელი სამხედრო ადმინისტრაცია ზია-ულ-ხაკის მეთაურობით.

სამხედროები ქვეყნის სათავეში 1977 წლის გადატრიალების შედეგად მოექცნენ, როცა დაამხეს კონსტიტუციის გზით არჩეული მთავრობა, რომელსაც ზულფიკარ ალი ბჰუტო ხელმძღვანელობდა. მათ თავიდანვე ცხოვრების ყველა დარგში უკიდურესად რეაქციული კურსი აირჩიეს და პაკისტანი პოლიტიკურ პოლიციურ სახელმწიფოდ გადააქციეს. აიკრძალა პოლიტიკური პარტიები, გაფიცვები, დემონსტრაციები, გატარდა საგანგებო ზომები, დაითხოვეს პარლამენტი, დაარსდა საველე სამხედრო სასამართლოები, დააპატიმრეს სხვაგვარად მოაზროვნე მრავალი ათასი პაკისტანელი, თუნდაც მცირე ეჭვის მიტანითაც კი.

არსებული რეჟიმით საერთო უკმაყოფილება აძლიერებს ზია-ულ-ხაკის პროამერიკულ პოლიტიკას, რომელიც ქვეყანას სამხრეთ და სამხრეთდასავლეთ აზიაში ამერიკის მილიტარიზმის მორჩილ იარაღად, დემოკრატიული ავღანეთის წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის მიერ გამოუცხადებელი ომის პლაცდარმად აქცევს. პაკისტანის არმიისათვის ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოდის ყველაზე თანამედროვე იარაღი, მათ შორის ბირთვული იარაღის უახლესი სახეები.

დიდია არსებული რეჟიმის ანტიხალხური კურსით საერთო-სახალხო უკმაყოფილება. რეპრესიები ვერ აჩერებს საპროტესტო დემონსტრაციებს. რეჟიმი თავის დასაცავად პაკისტანის მოსახლეობის „ისლამიზაციას" ებღაუჭება. ამ მიზნისათვის სამხედრო ადმინისტრაცია ულტრაკონსერვატიულ-მუსულმანური წრეების კავშირში შევიდა და სურს ქვეყანა კვლავ შუასაუკუნეობრივი ბნელეთისმოციქულობის წყვდიადისკენ შეაბრუნოს. თავისი ძალა რომ იგრძნოს, რელიგიურმა რეაქციამ, ხელისუფლების მხარდაჭერით, დაიწყო სხვადასხვა აკრძალვა და ინკვიზიციის დროინდელი წესების გატარება. დაიწყო მათრახით გაროზგვა, მოედნებზე საჯაროდ ქვის დაშენა. მუსლიმანი ღვთისმსახურნი ცდილობენ კვლავ ჩადრი ჩამოაფარონ ქალებს, აღუკვეთონ მათ ელემენტარული სამოქალაქო უფლებები.

მაგრამ პაკისტანელი ხალხი (მათ შორის ქალები) პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ბნელეთისმოციქულობის გამეფების წინააღმდეგ გამოდის. კაცებთან ერთად ქალები სულ უფრო ხშირად მონაწილეობენ მანიფესტაციებში, რათა პროტესტი გამოხატონ ანტიხალხური პოლიტიკის მიმართ.

გ. ზაიცევი,
მ. კაპუსტინი.
(საკდესი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრა მკითხველებთან

ამ დღეებში საჩხერის რაიონულ კულტურის სახლში მოეწყო რაიონის აქტივისტ ქალთა შეხვედრა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ კოლექტივთან.

შეკრება გახსნა საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა ელისო ბერიძემ.

შეხვედრა მიეძღვნა სკკპ 27-ე ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკური მოხსენებიდან გამომდინარე, ქალთა. ოჯახის პრობლემებს და ჟურნალ „საქართველოს ქალის ამოცანებს.

თავიანთ საქმიანობაზე ილაპარაკეს და „საქართველოს ქალის“ ბოლო წლების პროდუქცია მიმოიხილეს: რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგებმა ნ. ძინძიბაძემ და თ. ქავთარაძემ, გმირმა დედამ ე. შუკაკიძემ, მწველავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. გაფრინდაშვილმა, რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების გამგემ ნ. გოშაძემ, ბამბის სართავი ფაბრიკის მუშამ მ. მიშველაძემ, მასწავლებელმა ბ. ხვედელიძემ.

დასასრულ შეკრების მონაწილეთა შეკითხვებს პასუხი გასცეს და „საქართველოს ქალის“ სამომავლო გეგმებზე ილაპარაკეს ჟურნალის რედაქტორმა მარიკა ბარათაშვილმა, პასუხისმგებელმა მდივანმა ეთერ ჯაფარიძემ, განყოფილებათა გამგეებმა ლია კაკაბაძემ, ნ. თარგამაძემ.

კრებამ დაამტკიცა რაიონული ქალთა საბჭოს ახალი შემადგენლობა, საბჭოს საპატიო წევრად აირჩია მ. ბარათაშვილი.

## კონკურსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავის შესახვედრად ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს ნარკვევებისა და მცირე ფორმის მოთხრობებისათვის.

თემა: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია — ქალთა საინტერესო ბიოგრაფიების შემოქმედი“.

კონკურსში გამარჯვებულთათვის წესდება:

ერთი I პრემია — 200 მანეთის ოდენობით.

ორი II პრემია — თითოეული 150 მან. ოდენობით.

სამი III პრემია — თითოეული 100 მან. ოდენობით.

ნარკვევებისა და მოთხრობების წარმოდგენა 1987 წლის 1-ლ იანვრამდე შეიძლება. მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს დევიზით. ცალკე, დახურულ კონვერტში უნდა მოთავსდეს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი.

# წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

კასპის რაიონის სოფელ მეტეხის მცხოვრები, პედაგოგი ლ. მჭედლიშვილი რედაქციას წერდა, რომ ოთხი შვილის დედაა, მათგან უმცროსი ექვსი წლისაც არ არის, რომ პატარა ავად გაუხდა. დიდი სიცხე ჰქონდა. ექიმი გამოიძახეს და საავადმყოფო ფურცლის გახსნა სთხოვეს, რადგან ოჯახში ბავშვის მიმხედავი არა ჰყავდათ.

ექიმმა უარი თქვა საავადმყოფო ფურცლის გაცემაზე, ასეთი რამ სასტიკად გვეკრძალებაო.

წერილი კასპის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას გადაეგზავნა.

კასპის რაიონის მთავარი ექიმი ნ. გოგიბედაშვილი რედაქციას ატყობინებს:

„კასპის რაიონის სამედიცინო გაერთიანება გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, ექიმ-პედიატრ მ. ცალქალამანიძეს დაედო დისციპლინარული სასჯელი, ამავე დროს გაფრთხილებულ იქნა ზუსტად დაიცვას საავადმყოფო ფურცლის წარმოების წესი.

X X X

თბილისელი ლ. იაშვილი თავის განცხადებაში აღნიშნავდა, ვცხოვრობ კიროვის რაიონში, ნიზამის შესახვევ № 5-ში, საცხოვრებელი სახლი მწვავე ავარიულია, მარტოხელა დედა ვარ და გთხოვთ დამეხმაროთ, რათა კეთილმოწყობილი ბინით დამაკმაყოფილონო.

თბილისის კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. კანდელაკი გვწერს:

„მოქ. ლ. იაშვილი მარტოხელა დედაა, მითითებული კატეგორიით ბინის მიღების აღრიცხვაზეა. მისი საცხოვრებელი სახლის მწვავე ავარიულობის გამო კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის 1986 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით სამ სულს (თვითონ, შვილი, და) გამოეყო ოროთახიანი იზოლირებული ბინა, გლდანის მასივში“.

X X X

თბილისში, პირველი მაისის რაიონში, გორის შესახვევი № 10-ში მცხოვრებნი თავიანთ კოლექტიურ განცხადებაში მოითხოვდნენ სახლის კაპიტალური შეკეთების დაჩქარებას.

თბილისის პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. თ. სანაძე გვატყობინებს:

„პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომი, გორის შესახვევი № 10-ში მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაზე გაცნობებთ, რომ სახლი ერთსართულიანია, ძველი ნაგებობაა. მისი არქიტექტურული მნიშვნელობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სახლის შეკეთება. სამუშაოები, რომელიც წლეულს მესამე კვარტლის ბოლომდე შესრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზაფხულო კერძები

ქართული სუფრა ბოსტნეულის ნაკლებობას ზამთარშიაც ვერ „დაიწუწუნებს“, მაგრამ გაზაფხულ-ზაფხულს მაინც თავისი სიუხვე და სიხასხასე მოაქვს. ნორჩი მწვანილეულით, ბოსტნეულით, კენკროვანითა და ხილით გვანებივრებს და დიასახლისებს სხვადასხვა კერძების მოსამზადებლად ფართო არჩევანის საშუალებას აძლევს. მაგრამ ხომ არიან ზოგიერთი ახალბედა დიასახლისები, ზოგჯერ არჩევანის გამოც რომ დაიბნევიან ხოლმე და აღარ იციან რა კერძი მოუმზადონ ოჯახს. აი, სწორედ იმ გამოუცდელ ახალგაზრდა დიასახლისებს მოვაგონებთ ზამთრის პერიოდში მივიწყებულ საზაფხულო კერძებს, წვნიანსაც და მშრალსაც.

## ჭარხლის ბორში:

გარეცხეთ ჯაგრისით სამი მოზრდილი ჭარხალი, გათალეთ, დაჭერით პატარა ოთხკუთხედ ან თუ გნებავთ მოგრძო წვრილ ნაჭრებად, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ორი ლიტრი ადუღებული წყალი, ხუთი სუფრის კოვზი ზეთი, (მარილი გემოვნებით), დაახურეთ ქვაბს თავსახური და შედგით ნელ ცეცხლზე. 10 წუთის დუღილის შემდეგ ჩაუმატეთ სამი ცალი წვრილად დაჭრილი სტაფილო, ასევე წვრილად დაჭრილი 200 გრ. კომბოსტო, 1-2 თავი ხახვი ან მწვანე ხახვის პატარა კონა, 300 გრ. ალუჩა ან ტყემალი და 10 წუთით კიდევ ადუღეთ. 10 წუთის შემდეგ გადმოდგამთ თუ არა ქვაბს ცეცხლიდან, წვენი შეკაზმეთ წვრილად დაჭრილი მწვანილეულით: ოხრახუში, ნიახური, ნიორი, რეჰანი, (თქვენი გემოვნების და სურვილის მიხედვით). ბორშს მათლაფაზე ამოღების დროს დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი არაჟანი ან 2 სუფრის კოვზი მაწონი.

## კომბოსტოს ბორში

წვრილად დაჭრილი 2-3 თავი ხახვი და წვრილადვე დაჭრილი 2 ცალი ჭარხალი მოათავსეთ ქვაბში, დაასხით 100-150 გრ. ზეთი, ან იხმარეთ ნებისმიერი ცხიმი (ჩვენი შემოთავაზებით უმჯობესია ზეთი), შედგით ნელ ცეცხლზე და მოშუშეთ 10 წუთის განმავლობაში. შემდეგ დაუმატეთ 3 სუფრის კოვზი პამიდორის პასტა ან კანგაცლილი და გახეხილი 400 გრ პამიდორი და კვლავ განაგრძეთ მოშუშვა 5 წუთის განმავლობაში. (თუ გსურთ მოამზადოთ მწვანე ბორში, პამიდორის ნაცვლად იხმარეთ ალუჩა ან ტყემალი 300 გრ. მხოლოდ, ამ შემთხვევაში მოშუშვა აღარ არის საჭირო), შემდეგ დაასხით 1 ლიტრა ადუღებული წყალი და დაუმატეთ 500 გრ. ძალიან წვრილად დაჭრილი კომბოსტო, ასევე წვრილად დაჭრილი 2-3 სტაფილო და 3-4 ცალი ოთხად გაჭრილი კარტოფილი. შეაზავეთ მარილით და განაგრძეთ დუღილი 15 წუთის განმავლობაში. დუღილის დამთავრებისთანავე ბორში შეკაზმეთ წვრილად დაჭრილი მწვანილეულით: ოხრახუში, ნიახური, რეჰანი, ნიორი, (თქვენი გემოვნებით). მათლაფაზე ამოღების დროს ბორშს დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი არაჟანი ან 2 სუფრის კოვზი მაწონი.

## ხორც-ბოსტნეულის კატლეტი

ხორცის საკეპ მანქანაში გაატარეთ 300 გრ. ხორცი, 100 გრ. სტაფილო, 300 გრ. კომბოსტო, 1 თავი ხახვი ან 4-5 ძირი მწვანე ხახვი. მოაყარეთ მარილი, 5 სუფრის კოვზი მანანას ბურღული, დაასხით $1\frac{1}{2}$ ჩაის ჭიქა წყალი. კარგად შეზილეთ. გააკეთეთ კატლეტები და შეწვით ზეთში. თუ გნებავთ, დაალაგეთ გაზქურის ტაფაზე და შედგით გაზქურაში შესაწვავად.

გარნირად შეგიძლიათ გამოიყენოთ ხახვში მოშუშული პამიდორი ან წვრილად დაჭრილი მწვანილეული.

## ბოსტნეული მაკარონით და ხორცით

ღრმა ტაფაზე მოათავსეთ წვრილად დაჭრილი და ერთმანეთში არეული 2 ცალი (თესლგამოცლილი ბულგარული წიწაკა და 1 ცალი ხახვი, მოასხით 3 ცალი კანგაცლილი და წვრილად დაჭრილი ან დაჭყლეტილი პამიდორი. განალაგეთ ზედა ფენაზე პატარებად დამტვრეული მაკარონი (1 ჩაის ჭიქა). ზემოდან მოასხით $2\frac{1}{2}$ ჩაის ჭიქა ცივ წყალში გახსნილი 1 ჩაის ჭიქა ხორცის ფარში, მოაყარეთ მარილი, შედგით ცეცხლზე და მოურევლად ნელა ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადმოდგით და გააჩერეთ 15-20 წუთი. ამის შემდეგ მოაყარეთ ზემოდან წვრილად დაჭრილი კამა და ოხრახუში და ამავე ტაფით მიიტანეთ სუფრაზე ან ლამაზ ულუფებად ამოჭერით და დაალაგეთ თეფშზე.

ქ. თავართქილაძე

---

გარეკანის პირველ გვერდზე — „მსახიობი ქალები“; მეოთხეზე — „ანანო ყვავილებით“. ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები.

---

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბაქრინდაშვილი, ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივანი — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 5. 06. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 07. 86 წ. ქაღალდის ზომა $60\times90\ ^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.



Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000. შეკვ. 1393 უე 04719



ეროვნული
ბიბლიოთეკა

6 ½/126

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინდექსი 76178

ფასი 30 კაპ.